№ 3010
ხუთშაბათი,
23 თებერვალი

ცნობის ფურცელი

№ 3010
ხუთშაბათი,
23 თებერვალი

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—15 კ., მეოთხე—10კ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ამხ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". ტელეფონი № 372

1906 წელს „ცნობის ფურცელი" სურათებიანი დამატებით

გამოვა იმავე პროგრამით, ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ. დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი გადიდებული იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქაღალდი. ქაღალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

ფასი გაზეთისა:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით ერთის წლით 6 მან. ერთის თვით 50 კაპ. | საზღვარ-გარედ გაგზავნით ერთის წლით 11 მან. ერთის თვით 1 მან.

გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლისა ცნ. მხატვარი ოსკარ შმერლინგისა და გოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, ბერიძე და როტტერი. „ცნობის ფურცლის" წლიურ ხელისმომწერთ ერთის მანეთის დამატებით გაეგზავნებათ იუმორისტული ჟურნალი „ნაპერწკალი".

ადრესი: Тифлисъ, редакція „Цнобисъ Пурцели".

„ახალი დროება"

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი ლ. ბახტაძის რედაქტორობით

გამოვა ტფილისში 26 თებერვლიდან 1906 წ.

წლიური ფასი 5 მანეთი, 6 თვით—3 მან., თვიურად—50 კაპ., ცალკე ნომერი—2 კაპ. ხელის მოწერა მიიღება გაზეთის კანტორაში სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის შენობაში. (3—2)

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1-ლ საპოლიციო ნაწილში, დიდ და პატარა სუდების ქუჩის კუთხეში, საგანგებოდ ახლად აშენებულ სახლში, განზრახულია გაიხსნას, ნ. ე. ზუბალაშვის მიერ შემოწირულის ფულით, ღარიბთა თავშესაფარი, რომელშიაც ბინა მიეცემათ ღარიბ და დავრდომილ ქრისტიანთ, მამაკაცთ. თავშესაფარში 30 კრაოტი იქნება: 10—მართლმადიდებელთათვის, 10 კათოლიკეთათვის და 10 სომეხ-გრიგორიანთათვის. ვისაც ესაჭიროება „ღარიბთა თავშესაფარში" ადგილი, უნდა მიჰმართოს თხოვნით ტფ. ქალაქის გამგეობას და წარმოუდგინოს დოკუმენტები პიროვნებისა, სარწმუნოებისა, სიღარიბისა და აგრეთვე ექიმისა იმის შესახებ, რომ მუშაობა აღარ შეუძლია. თხოვნები მიიღება მხოლოდ ამა წლის 1-ლ აპრილამდე. (3—6.—3)

ვისაც სურს

სახლი ააშენოს, ან უკვე აშენებული სახლი გადააკეთოს გემოვნებით, იაფად და მკვიდრათ, ვკისრულობ ხელმძღვანელობას და ზედამხედველობას ყველასათვის ხელმისაწვდომ პირობებით. ვიღებ სახაზავ საქმეებსაც.

მსურველმა მომმართოს: 1) სასახლის ქუჩაზე, სარაჯიშვილის სახლის ეზოში, Бюро „Сотрудникъ"-ის კონტორაში, ტელეფონი № 60, ან 2) ჩუღურეთში, გონჩარნი ქუჩაზე, სხკ. სახლი № 28.

(10—6—9) ტეხნიკოსი გიგო თოიძე.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთა მიღება ყოველდღე, კვირების გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი,

ჟ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაგანასოვი: 10—11 ს. საზებიო, ქალთა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

მ. ზ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისისა, ვენერიული და ქირურგიული ავადმყოფობანი.

ძ. ი. ბძელიშვილი: 12—1 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი.

ა. პ. ქარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვის ავადმყოფობანი.

ა. ი. შჩერბინინა: 1½—2 ს. საზებიო და ქალთა ავადმყოფობანი.

ზ. ი. გურგენოვი: 1—2 ს. ქალისა და საზებით ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ა. მ. კუზინოვი: 5—6 ს. შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობანი და ყვავილის აცრა.

ნ. ზ. აბიანცი: 6—7 ს. შინაგან ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი: 7—7½ ს.

რჩევა-დარიგების ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისთვის მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана Тифлисъ, противъ памятника Воронцова. (წლ.)

ქ. ქუთაისში

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე

იღებს ავადმყოფებს (ყური, ყელი, ცხვირი და შინაგანი სნეულებანი), პუშკინის ქუჩა, სახლი გოკოლოვისა. (15—კვ.—9)

რესტორანი

პურ-ღვინო

დღეს, 21 თებერვლიდან, ხელ-ახლა გაიღო. გაიღო აგრეთვე ბილიარდი და ნარდიც. ვაჭრობა კვლავინდებურად სწარმოებს. (2)

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

ტფილისში

მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

შიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

მ. ზ. ალაჯანოვი. 1—2 ს. შარდისა, ვენერიული, სიფილისის და ტყავის ავადმყოფობანი.

ა. ნ. ოზიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი ელექტრონით წამლობა.

ა. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

ბ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.

ი. ე. ავეტისოვი. 12—1 ს. კალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.

მ. პ. ქიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.

მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.

პ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—48)

ექიმი

გ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11½ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს. კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 12, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი

მ. პ. ბეჟირგანოვი

სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7½ საათზედ. (თვ.—31)

ექიმი

პ. ა. არდაზიანი

იღებს ბავშვებს და შინაგან ავადმყოფებს დილის 8—9 ს., საღამოს 4—7 ს. აქვე სწარმოებს ქიმიკომიკროსკოპიული გამოკვლევა ბინა: ელისაბედის ქ. № 160. (19—18)

მედიცინის დოქტორი

გრიგოლ იოსების ძე გურგენოვი,

რომელიც ხარკოვის უნივერსიტეტის საზებიო და საგინეკოლოგო კლინიკის შტატის ორდინატორად იყო, იღებს საზებიო და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს. ავადმყოფები მიიღება: დილით 10-დან 12-მდე; საღამოთი 5 დან 7 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნიზა, საარტისტო საზოგადოების პირდაპირ. (30—53—8)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.

ავადმყოფთათვის არის ერთი კრაოტი.

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—7-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორისმელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 8. (წლ.)

კბილის ექიმმა

ი. ზ. კანდელაკმა

განაახლა კბილის ავადმყოფთა მიღება. სწამლობს კბილებს, აკეთებს პლომბებს და სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს. ავადმყოფებს იღებს 9—2 და 4—7 ს. მიხაილოვის პროსპექტი, შატინჯის სახლი 32. ძველ ბინის გვერდზე.

უმაღლესი მანიფესტი.

—

წყალობითა ღვთისათა ჩვენ, ნიკოლოზ მეორე, იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა, და სხვა, და სხვა, და სხვა, ვუცხადებთ ყველა ჩვენს ერთგულ ქვეშევრდომთ:

1905 წ 6 აგვისტოს მანიფესტით ჩვენ გამოვაცხადეთ სახელმწიფო სათათბიროს მოწვევა, და იმავე რიცხვს დავამტკიცეთ დებულება ამ სათათბიროს დაარსების შესახებ. გასულ წლის 17 ოქტომბრის მანიფესტით ჩვენ ახალი უფლებანი მივანიჭეთ სახელმწიფო სათათბიროს საკანონმდებლო საქმეში. ამასთანავე ჩვენს მიერ მოწონებულ იქნა სახელმწიფო საბჭოს გადაკეთების პროექტი, რასაც საფუძვლად უნდა დაედოს მცხოვრებთა მიერ ამორჩეულ წევრების მონაწილეობა. ამგვარ განზრახვათა შესასრულებლად ბრძანება გავეცით შემუშავებულ იქნას სახელმწიფო საბჭოს საჭირო ცვლილებები და აგრეთვე ხელახლა იქნას გადასინჯული სახელმწიფო სათათბიროს დებულება, რათა იგი შეუთანხმდეს 17 ოქტომბრის მანიფესტში აღნიშნულ პრინციპებს. ამ ჟამად ეს შრომა უკვე დასრულებულია. სახელმწიფო საბჭოში სამონაწილეოდ მოწოდებულია რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიის სამღვდელოებისა, თავად-აზნაურობისა, ერობათა, მეცნიერებისა, ვაჭრობისა და მრეწველობის წარმომადგენელნი, რომელთა რიცხვიც ერთად იქნება იმდენი, რამდენიც ჩემ მიერ დანიშნულ წევრებისა. ამნაირად გადაკეთებულ სახელმწიფო საბჭოს კანონების გამოცემის საქმეში ეძლევა ისეთივე უფლებები, როგორიც სახელმწიფო სათათბიროსა აქვს. ვტოვებთ რა ხელუხლებლად სახელმწიფო კანონების ძირითად დებულებას, რომლის ძალითაც ვერავითარი კანონი ვერ იქნება სისრულეში მოყვანილი ჩვენდა დაუმტკიცებლად, ჩვენ საზოგადო წესად ვადგენთ, რომ სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის შემდეგ, ვერავითარი კანონი ვერ შევა ძალაში საბჭოისა და სათათბიროს მოუწონებლად, მაგრამ როცა სახელმწიფო სათათბიროს მუშაობა შეწყვეტილი იქნება, მაშინ სახელმწიფო საბჭოს ნება აქვს პირდაპირ ჩვენ წარმოგვიდგინოს მოსაზრებანი ამა თუ იმ ზომების შესახებ, რომელიც გამოწვეული იქნება სახელმწიფოში რაიმე განსაკუთრებულ მდგომარეობით და რომელნიც კანონმდებლობითის წესით უნდა იქმნან განხილული. მაგრამ ამისთანა ზომებს არ შეუძლიანთ რაიმე ცვლილება შეიტანონ არც სახელმწიფოს ძირითად კანონებში, არც სახელმწიფო სათათბიროსა და სახელმწიფო საბჭოს დებულებებში და არც ამ დაწესებულებების საარჩევნო წესრიგში. ასეთი ზომები ისპობა, თუ სათანადო მინისტრი ან მთავარგამგებელი სათათბიროს გახსნის შემდეგ ორი თვის განმავლობაში არ შეიტანს სახელმწიფო სათათბიროში მიღებულ ზომის შესაფერ კანონ-პროექტს და თუ სათათბირო ან საბჭო არ მიიღებს იმ კანონ-პროექტს. ამ ორ უმაღლეს დაწესებულების მომავალ მოქმედებას საფუძვლად შემდეგს ვუდებთ: სახელმწიფო საბჭოსა და სახელმწიფო სათათბიროს ყოველ წელს ვიწვევთ და ვითხოვთ ჩვენის ბრძანებით. სახელ. საბჭო განიხილავს თავის წევრთა რწმუნების ქაღალდებს, ხოლო სახელმწიფო სათათბირო თავის წევრთა ერთსა და იმავე პირს არ შეუძლიან იყოს ერთ და იმავე დროს სათათბიროსა და საბჭოს წევრად. როგორც პირველს, ისე მეორეს ნება აქვს შეიტანოს თავისი განზრახვანი სახელმწიფოს ამა თუ იმ კანონის შეცვლისა ან ახალის გამოცემის შესახებ, მაგრამ ვერ შეეხება ძირითად კანონებს, რომლების გადასინჯვის უფლებას ჩვენზე ვტოვებთ. ამა თუ იმ კანონის პროექტს განიხილავს სახელ. სათათბირო და მოწონების შემდეგ, გადასცემს სახელ. საბჭოს. თუ პროექტს შეიტანს სახელ. საბჭო, იქ შემთხვევაში ეს პროექტი ჯერ თვითონ საბჭოში იქნება განხილული და, მოწონების შემდეგ, სათათბიროს გადაეცემა. ის პროექტი, რომელსაც ორივე დაწესებულება მოიწონებს, ჩვენ წარმოგვედგინება განსახილველად *). ნება ეძლევათ (ვის?) მიმართონ მინისტრებს და მთავარ-გამგეებს, რომელნიც კანონით სენატს ექვემდებარებიან, შეეკითხნენ იმ მოქმედებათა გამო, რომელიც უკანონოდ იქმნება ცნობილი. ამ ძირითად საფუძვლების გასაძლიერებლად ჩვენ დავამტკიცეთ ის დადგენილებანი, რომელიც ეხება სახელმწიფო საბჭოს შეცვლას. აგრეთვე ჩვენის ბრძანებით გადათვალიერებულ იქნება დებულება სახელმწიფო სათათბიროს დაწესების შესახებ. სენატს ვუბრძანეთ ეს კანონდებულებანი საყოველთაოდ გამოაქვეყნოს. წეს-რიგს იმ კანონ-პროექტების განხილვისას, რომელიც იმპერიასა და ფინლიანდიის დიდ სამთავროს შეეხება, თავის დროზე ავღნიშნავთ. იმედი გვაქვს, რომ ჩვენ მიერ დაწყებულ საქმეს მოჰყვება რუსეთის აყვავება და წეს-რიგის, მშვიდობიანობის და კეთილ-დღეობის დამყარება. ბოძებულია ცარსკოე სელოში, 20 თებერვალს, ქრისტეს დაბადებიდან 1906 წელს, ხოლო მეფობისა ჩვენისა—მეთორმეტე წელს.

„ნიკოლოზი"

*) აქ რამდენიმე სიტყვა დამახინჯებულია ტელეგრაფის მიერ.

ტფილისი, 23 თებერვალი.

პასუხად „კავკაზს"

გაზეთი „კავკაზი" გვიკიჟინებს, „ცნობ. ფურცელს" არც ლოღიკა აქვს, არც ანგარიში იცის, არც გონიერი სიტყვის თქმა შეუძლიან და ამიტომ ჰბოდავსო. მკითხველი ადვილად მიჰხვდება, რატომ არის ასე გულმოსული ჩვენზე ოფიციალური „კავკაზი", რომლის ეხლანდელი რედაქტორიც თურმე ოცდაათი წელიწადია პუბლიცისტობდა და ყოველთვის ლიბერალურ მოთხოვნებს იცავდა (ბ-ნის ოპოჩინინის ამ გვარ დახასიათებას გაზეთი „კავკაზი" იძლევა, ალბად იმიტომ რომ მეტის-მეტად უყვარს თავისი რედაქტორი). ამას წინად, „კავკაზი" სიხარულით ხტოდა, სომხები გამოფხიზლდნენ და რეალური პოლიტიკა წამოაყენესო; ჩვენ გამოვარკვიეთ, რა ნახა აქ სისიხარულო „კავკაზმა" და აღვნიშნეთ, რომ ეს გაზეთი ნელნელა გოფმეისტერ ბულიგინის სათათბიროს უბრუნდება, რომ იგი წყნარად ჩასჩურჩულებს ყურში ადგილობრივ თათრულ და ქართულ ინტელიგენციას, (სომხებს აღარ ...) უკვე გამოფხიზლდნენ) ვითომც ქართველებს და თათრებს არ ესაჭიროებოდეს გადამწყვეტი ხმა სათათბიროში, ვითომც მათთვის საკმაო იყოს გულისთქმის განცხადება, ხოლო ამ გულისთქმის დაკმაყოფილება თუ დაუკმაყოფილება კი ძირეულ რუსებს უნდა მიენდოთ, რომელნიც მოისმენენ ქართველების, თათრების და სომხების სიტყვას და შემდეგ გადასწყვეტენ, რა პოლიტიკა გაამეფონ მართვა-გამგეობაში. ჩვენი დასკვნა დამყარებული იყო „კავკაზში" მოთავსებულ წერილის იმ ადგილზე, სადაც ეს გაზეთი ეუბნება თათრებს, თქვენთვის ჩვენი რედაქციის კარი მუდამ ღიაა, შეგიძლიანთ თავისუფლად გამოხატოთ თქვენი მისწრაფება და თქვენთვის სასურველი მიმართულება პოლიტიკისა, მაგრამ „იმ პირობით კი, რა თქმა უნდა, რომ ეს პოლიტიკა ეთანხმებოდეს რუსეთის ახალს სახელმწიფოებრივ წყობილებას, იმპერიის საერთო ინტერესებს და მიზანს, შეურყეველ პრინციპს რუსეთის მთლიანობისას რუსეთის გვირგვინოსან მეფის ხელში და, რა თქმა უნდა, იმ ფაქტს, რომ მხოლოდ რუსეთის ძირითადი ხალხი იქნება მეფესთან ერთად ხელმძღვანელი იმპერიის და განაპირა ქვეყნების პოლიტიკისა, არა რუსნი კი სახელმწიფო სათათბიროში ილაპარაკებენ თავის საჭიროებისა და მისწრაფების შესახებ და ამ ლაპარაკს იქ რუსის ხალხი მოისმენსო".

ლიბერალ რედაქტორის გაზეთში ასეთი ურცხვი აზრი, რასაკვირველია, არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ რაკი იგი აღმოჩნდა, ჩვენ ამ აზრს სამართლიანი მსჯავრი დავდეთ. ეხლა გაზეთი „კავკაზი" თავის საკუთარს, ზემოდ აღწერილს სიტყვებს ხელს აფარებს და გვიკიჟინებს, სადა გაქვთ ლოღიკა, აბა საიდან სჩანს, რომ ბულიგინისეულ სათათბიროს ვუბრუნდებითო. „კავკაზს" სიტყვა-სიტყვით ამოუწერია ჩვენი გაზეთიდან ამას წინად მოთავსებული მეთაური წერილი „კავკაზი და რეალური პოლიტიკა", მაგრამ გამოუტოვებია სწორედ ის ადგილი, სადაც თვით „კავკაზი"-ს ზემოდ გამეორებული, ხაზ-გასმული სიტყვებია მოყვანილი, და ბრალსა გვდებს, ლოღიკა არ გაქვთ, ჰბოდავთ, ჩვენ სრულიად არ გვითქვამს ის, რასაც თქვენ გვაწერთო. იქნება, წარჩინებულ ადვოკატების ხელობაში ასეთი „აბრუნდი" დიდი ნიჭიერების მაჩვენებელი იყოს, მაგრამ პუბლიცისტიკას მაინცა და მაინც არ შეჰფერის ადვოკატურ ფანდებით და ხრიკებით სარგებლობა. რაც ერთხელ დასწერეთ, იმას ველარ ამოშლით, ზევრიც რომ აჯახუნოთ ლიბერალურ პუბლიცისტის გაცვეთილი ნაჯახი. თქვენ ნათლად, გარკვევით სთქვით „მხოლოდ რუსეთის ძირითადი ხალხი იქნება მეფესთან ერთად ხელმძღვანელი იმპერიის და განაპირა ქვეყნების პოლიტიკისა, არა რუსნი კი ილაპარაკებენო" და სხვა. ძალიანაც რომ გეწყინოთ, ასეთი პრინციპი „წესიერების პარტიას" შეეფერება და არა ლიბერალურ პუბლიცისტს.

„კავკაზ"-ს თითონაც არა სჯერა, რომ იმისი ტლანქი „აბრუნდი" შეუმჩნეველი დარჩეს და განაგრძობს: რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში უმრავლესობა აუცილებლად რუსები იქნებიან, თუნდაც არჩევნები პროპორციონალურად მოხდეს, და ამიტომ, ვინც არითმეტიკა იცის, ყველა იანგარიშებს, რომ საქმეების გადამწყვეტი სათათბიროში ძირითადი რუსები იქმნებიანო რადგან ყველა „ინოროდცებს" ერთად გაცილებით ნაკლები დეპუტატები ეყოლებათ, ვიდრე რუსებსაო. გავკადნიერდებით და მოვახსენებთ „კავკაზ"-ის რედაქციას, რომ იმან შეიძლება არითმეტიკა და თითეზე ანგარიში ძალიან კარგად იცოდეს, მაგრამ რაც შეეხება რუსეთის სტატისტიკას და საპარლამენტო მოქმედებას, ამის შესახებ კი ცოტა უკაცრაოდ ყოფილა. ჯერ ერთი, რომ ძირითადი რუსები რუსეთის იმპერიის მცხოვრებთა საერთო რიცხვის ნახევარზე ნაკლებს შეადგენენ (1897 წლის ერთი დღის აღწერიდან ასე სჩანს და განა ჩვენი ბრალია, რომ „კავკაზ"-მა ეს არ იცის?), და მაშასადამე, პროპორციონალურად რომ გავანაწილოთ, რუსები სახელმწიფო სათათბიროში „გაცილებით მეტნი" არ იქმნებიან. გარდა ამისა, სრული უკუღმართობაა პარლამენტის ისეთი წარმოდგენა, ვითომც იმისი წევრები მხოლოდ ეროვნების მიხედვით იყოფოდნენ ჯგუფებად; ეროვნების გარდა, ჰპოქმედებს კიდევ მცხოვრებთა დანაწილება სოციალ კლასსებად და ჯგუფებად, დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე აზრის ჯანსაღობას და სამართლიანობას. ვინ არ იცის, რომ გერმანიის რეიხსტაგში მაგალითად, სოციალდემოკრატები უმრავლესობას არ შეადგენენ, მაგრამ ამისდა მიუხედავად ისინი მაინც მეტად თვალსაჩინო კვალსა სტოვებენ გერმანიის კანონმდებლობასა და პოლიტიკაზე. როგორ შეიძლება ამ ფაქტის ახსნა, თუ საპარლამენტო უმრავლესობის მნიშვნელობა ისე ძლიერია, რომ ყოველთვის და ყველაფერი ამ უმრავლესობის სურვილზე მიმდინარეობს. რუსეთის სათათბიროში ყოველი საკითხი ხმის უმეტესობით უნდა გადაწყდეს და, რადგან უმრავლესობა დეპუტატებისა რუსები იქნებიან, ამიტომ პოლიტიკის ხელმძღვანელიც ძირეული რუსები იქნებიანო—მსჯელობს გაზეთ „კავკაზი". ამ მსჯელობას სიმარტივე არ აკლია, მაგრამ სიმარტივე ყოველთვის სიმართლე არ არის. პოლონეთის ავტონომიის შესახებ რუსეთის ლიბერალური პარტიებიც-კი ამ ჟამად ერთი აზრისანი არ არიან, კონ.-დემოკრატები პოლონელებს ავტონომიას ჰპირდებიან, სხვები წინააღმდეგობას აცხადებენ. ამ გვარად, თვით რუსები ორ ბანაკად იყოფიან. როგორ ჰგონია გაზეთს „კავკაზს", „ინოროდცების" ხმას, თუნდაც ეს ინოროდცები უმცირესობას შეადგენდნენ, ექნება თუ არა სახელმწიფო სათათბიროში მნიშვნელობა? სრულებით მოულოდნელი არ არის, რომ სათათბიროში პოლონეთის ავტონომიაზე მხოლოდ რუს დეპუტატების ნახევარზე ნაკლები იყოს თანახმა, მაგრამ „ინოროდცების" დეპუტატებთან ერთად-კი სათათბიროს უმრავლესობას შეადგენდეს. ასეთ პირობებში, პოლონეთის ავტონომია მიღებულ იქნება, მაგრამ განა ეს გადაწყვეტილება იმ ფაქტის დამამტკიცებელი იქნება, რომ ძირითადი რუსები არიან ერთად-ერთი ხელმძღვანელი რუსეთის პოლიტიკისა? გაზეთს „კავკაზს" ჩვენი ლოგიკა არ მოსწონს, და ეგე თითონ გამოიყვანოს დასკვნა, ჩვენ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ვინც პოლიტიკის ერთად-ერთს ხელმძღვანელად ძირითად რუსეთსა სთვლის და ამ გარემოებას ფაქტს უწოდებს, იმას არ შეუძლიან „ინოროდცებს" გადამწყვეტი ხმა არ ჩამოართვას და „კავკაზმა" აკი კიდეც სთქვა: სათათბიროში სომხები, თათრები და ქართველები გულახდილად იტყვიან თავის გასაჭირს, ხოლო რუსები-კი გადასწყვეტენ, რა მიმართულება მიეცეს პოლიტიკასო.

„კავკაზი" გვიკიჟინებს, „ცნ. ფურც." ლოგიკა არა აქვს და ანგარიში არ იცისო. ჩვენ გვგონია, რომ თვით „კავკაზმა" ლოგიკაც კარგად იცის, ანგარიშიც, მაგრამ მაინც ტყუილადა აქვს იმედი, ვითომც „ინოროდ

ცებს“ ადვილად აებმოდეს თვალი და ადვილად შეეძლებოდეს მათი ყინულზე გაცურება.

არსებითად „კავკაზთან“ პოლემიკა აქ შეგვეძლო გაგვეთავებინა, მაგრამ იმის საპოლემიკო წერილი „მუსაიფი და რეპლიკები“ იმდენს ყალბს ადგილებს შეიცავს, რომ არ შეგვიძლიან ზოგიერთებზე მაინც არ ვუპასუხოთ.

„კავკაზი“ სწერს: „თუმცა „ცნ. ფურც.“ ჰბოდავს, მაგრამ მაინც აღიარებს, რომ დღეის იქით ყველა საკითხი ჩვენ სამშობლოს შესახებ სახელმწიფო სათათბიროში უნდა გადაწყდესო“. ბოდვის შესახებ რა მოგახსენოთ და თქმით კი ჩვენ არც გვითქვამს და არც ვიტყვით, რომ 11 დეკემბრის სათათბირო შეიქმნებოდეს რუსეთის ბედ-იღბლის გადამწყვეტი: პირიქით, ჩვენ გვგონია, რომ ეს სათათბირო თუნდაც შეიკრიბოს, თუნდაც გაიხსნას, მაინც უძლური იქნება ფაქტიურად რუსეთის შინაურ პოლიტიკის ხელმძღვანელი შეიქნეს; ეს შეხედულება ერთხელ და ორჯელ არ კამოგვითქვამს ჩვენს გაზეთში.

„კავკაზი“ ირონიულად გვიკიჟინებს: ქართველმა და საერთოდ ინოროდცების პუბლიცისტებმა-კი არ წამოაყენეს პირველად ავტონომიის საკითხი, არამედ ძირითადმა რუსებმა, რომელთაც პირველად იწყეს ამ საგანზე ლაპარაკი კონ.-დემოკრატების და სოც.-დემოკრატების კრებებზეო. ალბად, „კავკაზის“ ლიბერალური პუბლიცისტები 17 ოქტომბრის მანიფესტამდე მხოლოდ იმას კითხულობდნენ და ჰხედავდნენ, რაც ცენზორებისაგან და გუბერნატორებისაგან აკრძალული არ იყო, თორემ ასეთ სიცრუეს არ წამოჰროშავდნენ. ჯერ რუს კონსტ.-დემოკრატების ხსენებაც არ იყო, როცა ქართველმა პუბლიცისტებმა პრაქტიკულ პოლიტიკის ერთ-ერთ მუხლად გამოაცხადეს ავტონომიური თვითმმართველობა და გამოაცხადეს კიდეც თავისი აზრი გაზეთ „საქართველოს“ ფურცლებზე; რუსეთის სოციალდემოკრატებმა ავტონომისტებთან საბრძოლველად წამოაყენეს „ეროვნული თვითგამორკვევა“ და ამ ორჭოფ პრინციპსაგან დღესაც ვერ გაუნთავისუფლებიათ თავისი აზრი და გონება. ოფიციალურ „კავკაზის“ თანამშრომლებმა რომ ეს გარემოება არ იცოდნენ, საკვირველი არ არის, მაგრამ თავის უცოდინარობას რომ ჭეშმარიტ ფაქტების სახელ წოდებით ასაღებენ, ეს კი შეუწყნარებელი სიცრუეა.

გაზეთი „კავკაზი“ თავის რედ ქტორს აქებს, არასოდეს არავინ მიუსევია ერთის ერის წინააღმდეგ, რომელიც ქართველთა მეზობლად სცხოვრობს, ქართული პრესის [illegible] სთ. ეს პროვოკატორული შენიშვნა ჩვენს გაზეთს მაინც და მაინც სრულებით არ შეეხება. ჩვენ არ უარვყოფთ, რომ ერთ ხანად ზოგიერთი ქართული გაზეთები ნაციონალურ შოვინიზმის ენით ლაპარაკობდნენ, მაგრამ ვიცით ისიც, რომ ეს შოვინიზმი ჩრდილოეთიდან მოსულმა ძირითადმა რუსმა ბ-ნმა ველიჩკომ ჩაუნერგა და გაუღვიძა გულში ზოგიერთ ქართველ პუბლიცისტს, ვიცით ისიც, რომ მაშინ „კავკაზის“ ნაქები რედაქტორი საუცხოვოდ ვექილობდა ტფილისის სასამართლოებში, ხოლო გაზეთების გამოსაცემად კი არ ეკალა. ჩვენი გაზეთი, რომელიდაც შესაძლო იყო იმ შავბნელ დროს, ეროვნულ თანასწორობას ყოველთვის იცავდა და ნაციონალურ შოვინიზმს მედგრად ებრძოდა. ამ პოზიციაზე ჩვენი გაზეთი დღესაც მტკიცედ სდგას.

საშუალო სკოლა და მშობელთა წრეები

მეტია ამ ჟამად ლაპარაკი იმის შესახებ, რომ თანამედროვე საშუალო სასწავლებლები ოდნავაც ვერ აკმაყოფილებენ აწინდელს გართულებულ ცხოვრების მოთხოვნილებას. ცხოვრების სინამდვილემ ძირიანფესვიანად შეარყია ის ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენებული იყო თანამედროვე საშუალო სასწავლებელი. ამ ჟამად ცხადზედ უცხადესია, რომ საშუალო სასწავლებლებმა დაამტკიცეს თავიანთი სრული უნიადაგობა და უნაყოფობა. მოსწავლე ახალგაზდობის განზრახ გონების დაბნელების სურვილმა, როგორც მოსალოდნელი იყო, სასტიკი პროტესტი გამოიწვია. რუსეთის იმპერიის ყველა სასწავლებელს ცეცხლის ალი მოედო და პალიატიურის საშუალებით ამ ცეცხლის ჩაქრობა ყოვლად შეუძლებელი საქმეა.

ამიტომ ყველგან, საცა კი სკოლების აწინდელ ანორმალურ მდგომარეობის შესახებ ჰქონდათ სჯა და ბაასი, გადაჭრით მოითხოვეს საშუალო სასწავლებლების რადიკალური რეორგანიზაცია.

დიახ, ყველგან და ყველანი, ვისაც ცოტათი მაინც გულში უღვივის ახალთაობის გულწრფელი სიყვარული, ვინც მთლად მაინც არ დაბრმავებულა ბიუროკრატიულ წესწყობილების ტრფიალებით, გადაჭრით ითხოვდა და დღესაც ითხოვს საშუალო სასწავლებლების სრულს განახლებას, სულ სხვა ნიადაგზედ მოწყობას და მოწესრიგებას.

სამწუხაროდ, მშობელთა ერთმა ნაწილმა ქ-ნ ა. ტხორჟევსკის მეთაურობით, ტფილისში სულ სხვა გზითა და საშუალებით მოისურვა საშუალო სასწავლებლებში გამძვინვარებულ ცეცხლის ჩაქრობა და ნორმალურ მდგომარეობის დამყარება. ასეთ საშუალებად მშობლების ამ ნაწილს მიუჩნევია თვითოეულ საშუალო სასწავლებელთან „მშობელთა წრის“ დაარსება. მშობელთა წრეს, როგორც ეს წესდების პირველსა და მეორე მუხლში განმარტებული, აზრად აქვს სკოლა და ოჯახი დაუახლოვოს ერთმანეთს, სკოლასა და ოჯახს შორის დაამყაროს ზნეობრივი კავშირი და ამნაირად სწავლა-აღზრდის საქმე ნორმალურ პირობებში აწარმოვოს. ამის მისაღწევად „მშობლებთა წრე“ გზავნის პედაგოგიურ საბჭოში თავის წარმომადგენელს, რომელსაც ხმის უფლება ეძლევა თითქმის ყველა პედაგოგიურ საკითხის გადაწყვეტაში. წრის წარმომადგენლები პედაგოგიურ საბჭოსთან ერთად იკვლევენ ყველა იმ პედაგოგიურ საკითხს და ზომას, რომელიც საუკეთესო საშუალებად იქმნება მიჩნეული ბავშვების გონებრივ, ფიზიკურ, ზნეობრივ და ესტეტიურ სწავლა-აღზრდის საქმეში.

პედაგოგიაში დიდი ხანია საანბანო ჭეშმარიტებადაა აღიარებული, რომ სკოლასა და ოჯახს შორის მჭიდრო კავშირი უნდა არსებობდეს და, მაშ სადამე, ამ მხრით წრის მიზანი ფრიად პატივსაცემია, რომ ამ მიზნის განხორციელება თანამედროვე პირობებში მოსწავლე ახალგაზდობის საკეთილდღეოდ შესაძლებელი იყოს.

ვისაც ცოტაოდნად მაინც თვალყური უდევნებია აწინდელ საშუალო სასწავლებლის ზრდა-განვითარებისათვის, ვინც ცოტაოდნად მაინც იცნობს ამ სასწავლებლის თანამედროვე ორგანიზაციას და მასში გამეფებულ აღვირწახსნილ ბიუროკრატიულ ჩარხის ტრიალს და თვითნებობას, იგი უეჭველად დაგვეთანხმება, რომ თანამედროვე ოჯახსა და საშუალო სასწავლებლებს შორის ზნეობრივ კავშირის დამყარება ყოვლად მოუხერხებელია, რადგან სკოლისა და ოჯახის შემაერთი ხიდი დიდი ხანია ჩატეხილია, რადგან აწინდელ სკოლისა და ოჯახის მისწრაფებანი დიამეტრალურად ერთი მეორეს ეწინააღმდეგებიან.

მართლაც, თანამედროვე კულტურულ ოჯახის გულწრფელი მისწრაფებაა შესძინოს საზოგადოებას ერთი ზედ მეტი გონება განვითარებული, აწინდელ გართულებულ ცხოვრებისათვის მომზადებული, თვით მოქმედი, მხნე და დამოუკიდებელი ღირსეული წევრი. თანამედროვე კულტურულ ოჯახის უმეტნაკლებო სურვილია აღზრდოს ხალხისა და ხალხისათვის თავდადებული მუშაკი. თანამედროვე საშუალო სკოლა კი ამავე დროს განზრახ უხშობს მოსწავლე ახალგაზდობას საზოგადოებრივ გრძნობათა განვითარებას, ზრდის მას „въ духѣ охранительныхъ началъ“ და უნერგავს ნორჩ გულში არსებულ კანონებისა და ბიუროკრატიულ დაწესებულებათა განუკითხველს მორჩილებას და პატივისცემას.

დიახ, თანამედროვე საშუალო სასწავლებელი მოგაგონებთ ერთ გვარ ქარხანას, რომლის თავი და თავი დანიშნულებაა უსულო და უგულო ბიუროკრატების რაზმის გამრავლება.

როცა ოჯახისა და სკოლის უმთავრესი მისწრაფებანი ასე განსხვავდებიან, როცა ეს მისწრაფებანი ერთი მეორეს ასე ეწინააღმდეგებიან, განა შესაძლოა მათ შორის რაიმე ზნეობრივი კავშირი ან ურთიერთობა დამყარდეს!

ჩვენის აზრით, ესეთის კავშირის ჩამოგდება ყოვლად შეუძლებელია, შეუერთებელ საგნების შეერთება ყოვლად მოუხერხებელია, მაგრამ, ალბად, „მშობელთა წრის“ მოთავეებს და, მათ შორის ქ-ნ ა. ტხორჟევსკისას შესაძლებლად მიაჩნიათ ყველა ის, რაიცა ჩვენისთანა მომაკვდავთათვის ყოვლად მოუხერხებელია და შეუძლებელი. შეიძლება „წესდების“ შემდგენელნი ფიქრობდნენ, პედაგოგიურს საბჭოებზე გავლენას ვიქონიებთ და ამ რიგად საქმეს სასურველად მოვაწესრიგებთო. ნეტარ არიან მორწმუნენი, მაგრამ ჩვენ კი სულ სხვა ნაირად ვფიქრობთ. განა შეიძლება კაცმა რაიმე გავლენა იქონიოს ისეთს დაწესებულებაზედ, რომლის მეთაურთა და ხელმძღვანელთა განვითარება ბიუროკრატიულ საფეხურს ვერ გასცილებია, რომლის ხელმძღვანელნი, ტფილისის სამხატვ- [illegible] „ვხოდიაშჩი“ და „ვხოდიაშჩი“ ქაღალდებს უფრო მეტს ყურადღებას აქცევენ, ვიდრე ცხოვრების ჭეშმარიტ მოთხოვნილებას და ამ მოთხოვნილებათა დამცველ პირთა აზრს!

„მშობელთა წრეების“ წარმომადგენლებმა კიდევაც რომ რაიმე გავლენა იქონიონ პედაგოგიურ საბჭოებზედ, განა ამით რაიმე საკეთილო გამოდნება! არა და ათასჯერ არა.

ტფილისის საშუალო სასწავლებლების პედაგოგიურ საბჭოების თვით ხევრებმა წარსულ წელს დიდის შრომისა და მეცადინეობის შემდეგ შეადგინეს ვრცელი საომოწვლო გეგმა სასწავლებლების რეორგანიზაციის შესახებ, მაგრამ გახზოახული რეორგანიზაცია ისევ გახზოახვადვე დარჩა, ბიუროკრატიულმა მთავრობამ ყურიც-კი არ შეიბერტყა. ეს კიდევ არაფერი. სკოლის რეორგანიზაციის შესახებ თვით საერო განათლების სამინისტროც სცდილობდა გენერალ ადიუტანტის ვანოვსკის მინისტრობის დროს, მაგრამ სამინისტროც უღონო აღმოჩნდა რამდენიმედე მაინც თვალსაჩინო ცვლილება მოეხდინა სკოლის ყოფა-ცხოვრებაში, რის გამო მინისტრი იძულებული გახდა სამსახურიდან გადამდგარიყო.

ამნაირად საერო განათლების მინისტრმაც კი ვერ მოახერხა რაიმე ცვლილების მოხდენა თანამედროვე პირობებში და აბა ამის შემდეგ რისღა იმედი ჰქონდა ქ-ნ ა. ტხორჟევსკისას და სხვებს, როცა „მშობელთა წრის“ წესდებას ადგენდნენ და პედაგოგიურ საბჭოების საშუალებით, იმ პედაგოგიურ საბჭოებისა, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ „მოქალაქობრივ“ უფლებას, სკოლის ნორმალურ მდგომარეობის დამყარებას ჰფიქრობდნენ.

მშობელთა წრეების წარმომადგენელთა და პედაგოგიურ საბჭოთა საერთო შრომა და მოღვაწეობა აწინდელ პირობებში სკოლის აწეწილ-დაწეწილ საქმეებს ოდნავაც მალამოს ვერ დასდებს და სასიკეთოს ვერას შემატებს. პირიქით ბიუროკრატიულ დაწესებულებას კედლებს გაუმაგრებენ, და კიდევაც ამიტომ ქ-ნ ა. ტხორჟევსკის მიერ გამოგონილი „მშობელთა წრე“ ბიუროკრატიულ საშუალებად მიგვაჩნია და ჩვენ რომ არა ვცდებით, ამის დამამტკიცებელი საბუთები ჯერ კიდევ გუშინ თუ გუშინწინ დაარსებულ წრის ისტორიაშიაც არა ერთი და ორი მოიძებნება.

თვითონ ქ-ნი ა. ტხორჟევსკისა ერთს ერთს გიმნაზიის მთავრობას წინადადებას აძლევდა საჯაროდ მშობლების კრებაზედ, ზოგიერთი „მოუსვენარი“ მოწაფენი მშობლებმა სკოლიდან უნდა დროებით მაინც გაიყვანონ და წესიერება მხოლოდ მაშინ ჩამოვარდებაო. მესამე გიმნაზიაში ზოგიერთი მშობლები ამტკიცებდნენ, აბა რა გასაკვირველია სკოლებში უწესოება სუფევდეს, როცა „გუვერნანტკებისა“ და „ბ-ნების“ აღზრდილ არისტოკრატ მოწაფეებთან ერთად ვილაც მეეტლეების და ლაქიების შვილები იზრდებიანო. ასეთ აზრების ქადაგებას ბიუროკრატიული სასკოლო მთავრობაც-კი ვერ ბედავს ამ ჟამად და ქ-ნი ა. ტხორჟევსკისა და „მშობელთა წრის“ ზოგიერთი სულის ჩამდგმელნი-კი ასეთს ხელის-ხელ საგომანეველ მარგალიტებს უხვად აპნევენ საჯაროდ და ისე ჰგონიათ, თითქო სკოლას აწინდელს ანორმალ მდგომარეობას თავიდან ვაშორებთო.

ცხოვრების სინამდვილე ყველაზედ უფრო პირუთვნელი და სასტიკი მსაჯულია, იგი, ყოველს ექვს გარეშეა, თავის პირუთვნელს ისჯავრს დასდებს „მშობელთა წრის“ დღევანდელ პირობებში შეუფერებელს მნიშვნელობას და მხოლოდ მერტოოდენ მაშინ დარწმუნდებიან ქ-ნი ა. ტხორჟევსკისა და „მშობელთა წრის“ სხვა ბაირაღტარნი, რა სამსახური გაუწიეს მოსწავლე ახალგაზდობას ამ განმათავისუფლებელ ხანაში „მშობელთა წრის“ დაარსებით. **ა. მიქაბერიძე**

დასავლეთ საქართველოში

ყვირილა. როგორც მოგეხსენებათ, დასავლეთ საქართველოში პირველად ეს დაბა აიკლ-დააწიოკეს. იმის აკლება-დაწიოკების ამბები დაწვრილებით იყო აწერილი „ცნობ ფ.-ში, მაგრამ დააკლდა ისეთი ცნობები, რომელიც ძლიერ ახასიათებს ზოგიერთ ვაჟბატონებს. 8 იანვარს პირველ სამხედრო მატარებლიდან ჩამოსულმა ყაზახებმა ერთი კაცი მოჰკლეს და ერთიც დასჭრეს. ყაზახები მალე ქვევით წავიდნენ. ცეცხლი მათ არ გაუჩენიათ. მეორე მატარებელს ჩამოჰყვა დეკ. ღამბაშიძე, რომელიც გაჟიცვის გამო ტფილისში დარჩა. იმის რჩევით, გედევან ჩუბინიძე და რამდენიმე ვაჭარი მესამე მატარებელს პურ-მარილით მიეგებნენ და მთელის ხალხის მაგივრად შეწყნარება სთხოვეს. რაზმის უფროსი გავრილოვი შეჰპირდათ, არაფერს დავაშავებთო, მაგრამ არ გასულა ნახევ რი საათი, რომ დუქნებს ტეხვა დაუწყეს და შემდეგ ცეცხლი გაუჩინეს. მეორე დღესაც ყოველ სამხედრო მატარებელს ზემოხსენებული პირნი პურ-მარილით ჰხვდებოდნენ, უცხადებდნენ მორჩილებას ყველას მაგივრად, მაგრამ დაბა მაინც სულ გადაიწვა. შემდეგ ხალხს აყვედრიდნენ ჩვენ რომ არა, ყველას დაგხოცავდნენო. დაბაში ჯარის გაბატონების შემდეგ ბევრმა შეიცვალა ფრონტი და მარჯვნივ გადიწია. დღემდე თუ ვითომდა პირველი მოქმედნი თუ არა, თანამგრძნობნი მაინც იყვნენ განმათავისუფლებელ მოძრაობისა, დღეს საეროზო დარაჯებს და ჯარის კაცებს დაჰყვებიან და უჩვენებენ იმსახლებს, რომელშიაც მათის აზრით შენიშნული პირები სცხოვრობდნენ.. **ს. თამამაძე.**

სოფ. ხრეითი (შორაპნის მაზრა). 15 თებერვ ლს ხრეითის მცხოვრებთ გაიგეს, რომ ხრეითის ზეციხის წმ. გიორგის ეკკლესიაში და იმას მახლობლად მდებარე კლდეში სხვა სოფლის მილიციონერებს იარაღი დაუმალავთო. სოფელმა მსწრაფლ ეკკლესიას და კლდეს ალყა შემოარტყა, რომ არც არავინ შესულიყო და არც არავინ გამოსულიყო. შემდეგ ოთხივე მხრიდან ერთად მივიდნენ და გაჩხრიკეს ეკკლესია და კლდე. ეკკლესიაში არაფერი აღმოჩენილა, კლდეში კი აღმოაჩინეს: 10 „ვინტოვკის“ თოფი (სალდათის), 10 ბერდანა, 952 „ვინტოვკის“ პატრონა, 90 გილზი, 3 ხანჯალი და ერთიც რევოლვერის ბუდე. ეს იარაღი ადგილობრივ კანცელარიაში მიიტანეს და მცველები მიუყენეს. მეორე დღეს დაიბარეს ჩხარის ბოქაული. ისიც მოვიდა ურიადნიკებით და იარაღი მიიღო. იარაღის დამალვა ხრეითს არ დაედო ბრალად. ოქმიც იმ სახით შესდგა, რომ ხრეითმა აღმოაჩინა და დამალვით ვინ დამალა, გაუგებარიაო. მოემზადა თუ არა ბოქაული წასასვლელად, მოულოდნელად ქიათურიდან მოიჭრა 35 ყაზახი ორის აფიცრის მეთაურობით. იარაღი ამათ ჩაიბარეს. იარაღის დამალვა აფიცრებმა აჰკრეს (ხრეითს აკრავს) ტაბაჯაღლეს, ხოლო ხრეთს დიდი მადლობა გამოუცხადეს. **დ. შ.**

ქართლში

ზემო-ქართლი. არ იქნა და არ გაუთენდათ ხეირიანი დღეები საბრალო ზემოქართლელებს! ამ ჟამად მათი მდგომარეობა მეტად უნუგეშოა. არ იციან, რა ჰქნან და რით გაიტანონ თავი. რეაქციის ფეხზედ წამოყენებამ ზემო-ქართლელ გლეხებს წელი მოსწყვიტა, რადგან ეხლა აღარავინ აღარ ინდობს, აღარც მევახშე, აღარც ერი და ბერი. ყველა ამათგანი, ვისაც-კი ამ მოძრაობის დროს რამე წყენა ჩაუდვია გულში, უდიერად ექცევა. თვით ის მებატონენიცკი, რომელნიც ამ ერთის თვის წინად ძმობას და სიყვარულს ეფიცებოდნენ, თავიანთ

ფელეტონი

ტანჯულ-წამებული მებრძოლნი.

ვ. ბოგუჩარსკისა.*)

სამწუხაროა ჩემი მოთხრობა: უნდა გადაგიშალოთ ფურცლები იმ სისხლით შეღებილ წიგნისა, სადაც შეტანილია ჩვენის სამშობლოს თავისუფლებისთვის მებრძოლთა და წამებულთა სახელები. ამათი რიცხვი უთვალავია.

თავისუფლების მოტრფიალეთა დევნა და დაწიოკება თვით-მპყრობელობამ იმ დროიდან დაიწყო, რა დროსაც რუსეთში ასეთი კაცები გაჩნდნენ. არ შევჩერდები ჩვენ პირველ წამებულზე, ა. ნ. რადიშჩევზე, რომლის შესანიშნავი წიგნიც—„მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვამდე“—მხოლოდ ეხლა, ასს ჩვიდმეტი წლის შემდეგ ეღირსა დაბეჭდვას და თავისუფლად გავრცელებას. ეს წიგნი შეიცავს პროტესტს ბატონ-ყმობის წინააღმდეგ. ამ წიგნის დაწერისთვის რადიშჩევს დიდ ეკატერინეს სენატორებმა „თავის მოკვეთა“ გადაუწყვიტეს. მთელი სამი კვირა სტანჯეს ლოდინით რადიშჩევი და ბოლოს დედოფალმა, შვეციასთან ზავის ჩამოგდების გამო, რადიშჩევს თავის მოკვეთა კატორგად შეუცვალა. რადიშჩევი გაგზავნეს ციმბირში, ილიმსკს, იაკუტსკის ოლქის საზღვარზე

არ შევჩერდები აგრეთვე ალექსანდრე პირველის მეფობაზე, როდესაც აუარებელ ხალხს მათრახებით და ჯოხებით ისეუმრებდნენ საიქიოსკენ, ხოლო სიკვდილით დასჯას აშკარა განაჩენებით ერიდებოდნენ, და გავიხსენებ იმ დღეებს, როდესაც ტახტზე ეგრედ წოდებული „დაუვიწყარი“ ნიკოლოოზი ავიდა. უთუოდ მოგეხსენებათ ის ამბები, რომელიც 1825 წლის დეკემბერს მოხდა პეტერბურგსა და სამხრეთ რუსეთში. შედეგად ამას შეთქმულების აღმოჩენა და შეთქმულთა სასტიკად დასჯა მოჰყვა. უმაღლეს სასამართლოს გადაწყვეტილებით, 31 კაცს თავის მოკვეთა მიესაჯა, ხოლო ხუთს—ნაკუწნაკუწად ქცევა. აი პირველთა გვარები: პოლკოვნიკი თავ. ტრუბეცკოი, პიროუჩიკი თავ. ობოლენსკი, პოდპოლ. მ. მურავიოვ-აპოსტოლი, პორუჩიკები ძმები ბორისოვები, პოდპორ. გორბაჩევსკი, მაიორი სპირიდონოვი, შტაბს-როტმისტრი თავ. ბარიატინსკი, კოლ. ასესორი კიუხელბეკერი, კაპიტანი იაკუბოვიჩი, პოდპოლ. პოდიო, პოლკ. არტამონოვ-მურავიოვი, პრაპ. ვადკოვსკი, პრაპ. ბეჩასნოვი, პოლკ. დავიდოვი, გენერალ-ინტენდანტი იუშნევსკი, შტაბს-კაპიტანი ალექსანდრე ბესტუჟევი, ცნობილი მწერალი მარლინსკი, კოლ. ასესორი პუშჩინი, გენერალ-მაიორი თავ. ვოლკოვსკი, კაპ. იაკუშკინი, პოდპოლ. პესტოვი, ლეიტენ. არბუზოვი, ლეიტენ. ზავალიშინი, პოლკ. პოვალო-შვეიკოვსკი, პორუჩ. პანოვი, პორ. სუტგოვი, შტ.-კაპ. თავ. შჩეპინ-როსტოვსკი, მიხაილ ლივოვი და ცნობილი სწავლული და ლიტერატორი ნ. ი. ტურგენევი.

დიდი ტანჯვა და წამება გამოსცადეს ამათ საქმის გარჩევის დროს, მხოლოდ ტურგენევი, რომელიც ამ დროს საზღვარ-გარედ იმყოფებოდა, ასცდა ამ ტანჯვა-წამებას. საიდუმლოდ, მაინდელმა ჯალათებმა თავიანთი ძტარვალობა ბოლომდე აღარ მიიყვანეს და რუსეთის ამ საუკეთესო შვილებს თავები აღარ მოჰკვეთეს; ამის ნაცვლად ყველას სამუდამო კატორგა გადაუწყვიტეს. სიკვდილით დაისაჯა მხოლოდ ხუთი ამათი ამხანაგი, რომელთაც ნაკუწნაკუწად ქცევა ჰქონდათ გადაწყვეტილი. ესენი იყვნენ: პოლკ. პესტელი, ცნობილი პოეტი რილეევი, პოლკოვნიკი სერგეი მურავიოვ-აპოსტოლი, პოდპორუჩიკი ბესტუჟევ-რიუმინი და სამსახურს გარეშე მყოფი პორუჩიკი კახოვსკი. „წყალობა“ ამათთვისაც გაიმეტეს, თუმცა ეს წყალობა ბევრი არაფერი ბედნიერი იყო: ამ ხუთ კაცს ნაკუწ-ნაკუწად ქცევის ნაცვლად ჩამოხრჩობა მიუსაჯეს. 1826 წ. 13 ივლისს სახრჩობელამ სიცოცხლე მოუსპო ამ საუკეთესო ვაჟკაცებს და ამით პირველი საჯარო მსხვერპლი შეიწირა მომავალ, მაგრამ ჯერეთ კიდევ არ განხორციელებულ თავისუფლებისთვის. ამ რიგად, თვითმპყრობელობამ ოთხმოცი წლის წინად, სახრჩობელით გასცა პასუხი იმათ, ვისაც თავისუფალი ჰაერი სწყუროდათ და ხალხისათვის სიკეთე სურდათ...

ვინ იყვნენ ეს ტანჯულ-წამებულნი? სამწუხაროდ, გარემოება ნებას არ მაძლევს დაწვრილებით შევჩერდე ამ კითხვაზე. მოვიყვან მხოლოდ პოეტის რილეევის ლექსის ერთ ტაეპს და თვით მკითხველი მიხვდება, რა სწადდათ წამებულთ:

> კარგად ვიცი: წამება მოელის იმას, ვინც
> პირველი აიმაღლებს ხმებს ხალხის მჩაგვრელთა
> წინააღმდეგ. ხვედრი ჩემი უკვე გადაწყვეტილია,
> მაგრამ, ერთი მითხარით, როდის უყოფილა,
> რომ თავისუფლებას მსხვერპლი არ შეეწიროთ.
> დავიღუპები სამშობლო მხარისთვის,—მე
> ვგრძნობ ამას, ვიცი, მაგრამ მაინც სიხარულით,
> წმინდათ მამაო, ვეგებები ჩემ ხვედრს.

დიაღ, რილეევი ამ სიტყვებს, პოემის გმირის პირით წარმოთქმულს, თავის თავზე ამბობდა. არც უღალატნია აღთქმისთვის! როდესაც, სახრჩობელაზე მიმავალს, მღვდელმა სანუგეშო სიტყვებით მიმართა, რილეევმა მიუგო: „ხელი დაადე ჩემ გულს და დაიხარ: ჩვეულებრივზე ძალიან მიცემს იგი თუ არაო?“ როდესაც სახრჩობელას ზედა საფეხურზე ავიდა, პოეტმა სთქვა: „რილეევი კვდება, როგორც ავაზაკი, მაგრამ რუსეთი არ დაივიწყებს!“

დადგა დრო, როდესაც რუსეთი უნდა ჩაუკვირდეს ოთხმოცი წლის წინად წარმოთქმულ, თავისუფლებისთვის მებრძოლის და წამებულის სიტყვებს...

უმაღლესს სასამართლოს განაჩენით დეკაბრისტთა პროცესსი არ გათავებულა. იმათგანი, ვინც ჩერნიგოვის პოლკის აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა, პეტერბურგს ჩაიყვანეს და, როგორცა ვთქვით, ჩამოახრჩვეს კიდეც მხოლოდ მურავიოვ-აპოსტოლი და ბესტუჟევ-რიუმინი. სხვა აფიცრები აუდიტორიატ-დეპარტამენტის სამართალში მისცეს. დეპარტამენტის განაჩენით ბარონ სოლოვიოვს, სუხინოვს და მაზალევსკის სიკვდილი მიესაჯა. ამავე განაჩენში აჯანყების დროს მოკლულ კუზმინის, შჩიპილოს და იპ. მურავიოვ-აპოსტოლის შესახებ ნათქვამი იყო: „ამათს როგორც მოღალატეებს, საფლავებზე არავითარი ჯვარი და ძეგლი არ უნდა დაიდგას. უნდა აიმართოს სახრჩობელა და ზედ ამათი სახელი წაიწეროს მოღალატეთა შესარცხვენად და დასამცირებლად.“

ამ განაჩენზე ხელმწიფემ წააწერა: „ბარონი სოლოვიოვი, სუხინოვი და მოზალევსკი ქალაქ ვასილკოვში, მეცხრე დივიზიის თანადასწრებით, სახრჩობელას ქვეშ დააყენეთ და მერე კატორგაში გაგზავნეთ. იმავე სახრჩობელას მიაკარით გვარები მოკლულ მოღალატეთა კუზმინის, შჩიპილოს და მურავიოვ-აპოსტოლისა“.

რა თქმა უნდა, ეს განაჩენი დაუყოვნებლივ მოიყვანეს სისრულეში.

ნებას მივცემ ჩემ თავს და ცოტა ხანს ივანე სუხინოვზე შევჩერდები. კატორგაში მისვლის შემდეგ ეს კაცი სულით არ დაცემულა, პირიქით მან ახალი აჯანყებაც განიზრახა ციმბირში. საქმე სუხინოვმა ზარენტუისკის მაღნებში დაიწყო. შეთქმულება აღმოაჩინეს მაშინ, როდესაც უკვე რამდენიმე ასი კაცი შეუერთდა მოთავეებს.

დაიწყო გამოძიება. სასამართლომ სუხინოვს და ხუთ იმის ამხანაგს დახვრეტა გადაუწყვიტა. განაჩენი პეტერბურგს გაგზავნეს დასამტკიცებლად და სანამ უკან დაბრუნდებოდა, სუხინოვმა საპყრობილეში თავი ჩამოიხრჩო. დანარჩენი ხუთი—ბოჩაროვი, გოლიკოვი, ბონდარევი, პტიცინი

*) ზარშან, 10 ნოემბერს, პეტერბურგში გამართა მიტინგი პროტესტის გამოსაცხადებლად სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. ეს წერილი ავტორმა ამ მიტინგზე წაიკითხა, შემდეგ იგი დაიბეჭდა ჟურნალ „М. Б.“-ში, № 12.

მამულსაც ხალხის სურვილზედ ავლებდნენ, დღეს გაფაცაცებულნი და გახარებულნი ადმინისტრაციასთან ჩივიან და ლალას კრთისა და ორის დღის განმავლობაში უკლებლად იღებენ. გლეხებს ლალის მიცემას ვადას საათობით უნიშნავენ. მებატონის თხოვნით, ბოქაული მისწერს სოფელს, რომ ამა და ამ საათამდის თქვენს ბატონს გაუსწორდით, თორემ ეგზეკუციათ ყაზახებს ჩაგიყენებთო, და თან ბრძანებაში იმასაცა სწერს, რომ ჩააბარებთ თუ არ ჩააბარებთ, ამ ვადამდე აუცილებლად მეც მაცნობეთო. სოფლელებიც ყაზახებით შეშინებულნი, მაშინვე თავდარიგს შეუდგებიან ხოლმე და რაც უნდა ძვირათაც დაუჯდეთ, შოულობენ ფულს, ზოგი მარჩენალ ხარ-კამეჩს ჰყიდის მესამედ ფასად, ზოგი შვილს აყენებს მოჯამაგირედ, ზოგი სახლს ჰყიდის და რჩება ბოსლის სამარათ.

თუმცა ზემო ქართლელებს ლალა წინადაც ხდებოდათ, მაგრამ წინანდელი გადახდა სხვა იყო და ეხლანდელი სხვაა. წინად ჯერ ეს ერთი, გლეხები წინდაწინ იყვნენ შეცდილნი, ზოგი ფულით, ზოგი ქირნახულით და ზოგიც მებატონესთან სამუშაოს მორიგებით, ან მეორეც-მაშინდელ ტაქტიკით გადახდევინება ესეთი სასტიკი არ იყო, როგორიც ეხლაა, ზემოქართლელები ზაფხულში დაიმედებულნი იყვნენ, რომ მებატონეები ლალას ვეღარ გადაახდევინებდნენ, და მერე თვით მებატონეებიც იმას ეუბნებოდნენ, რომ თუ გადაგახდევინებთ, დიდის შეღავათითაო. ამ იმედებით გამსჭვალულთ, ვეღარ დაუჭირეს თავი ქირნახულს, თავიანთ ოჯახის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, აქეთ-იქით მიარიგ-მოარიგეს და დარჩნენ ცარიელნი. სამუშაოც ძალზე ნაკლებად არის ეხლა ყველგან, რომ მით მაინც გამოიკვებონ თავი. ამ მდგომარეობაში მყოფი ზემო ქართლელი გლეხი საცოდავი სანახავია: აღარც სამუშაოზედ აქვთ გული. არიან ისეთნი, რომელნიც გლეხის ასეთ მდგომარეობის გამო სიხარულით ცას მოეწივნენ. მაგრამ ნუ დაივიწყებენ ეს ვაქბატონები, რომ ცხოვრება ჩარხია, ჩარხი გადაგორდება და გვიჩვენებს მთელს და სალს გვერდს. ვიცით ყველამ, რომ ერთ დროს კიდევ მოიკატუნებენ თავს ეს გლეხთა მტარვალნი და ეცდებიან მათ გულის მოლბობას, მაგრამ მგონი, რომ გვიანღა იქმნება... **ზემო-ქართლელი.**

ახალი ამბავი

-✦ **განაჩენი.** 21 თებერვალს არსენ ჯორჯიაშვილს საბოლოოდ გამოუცხადეს განაჩენი. განაჩენი წარედგინა გენერალ-გუბერნატორს. ვექილებს აზრადა აქვთ ეს განაჩენი განაჩივრონ უმაღლეს სამხედრო სასამართლოში.

✦ **გაზეთის განახლება.** ტფ. გენერალ-გუბერნატორმა ნება დართო ბ-ნ კოტე მესხს განაახლოს გამოცემა ამას წინად დახურულ „პატარა გაზეთისა“. გაზეთი გამოვა შაბათს, 25 თებერვლიდან.

✦ **თამბაქოს აქციზის მომატება.** მთავრობას განუზრახავს გაადიდოს თამბაქოს აქციზი. ამ საკითხის განსახილველად მიწათმოქმედების დეპარტამენტში, მეთამბაქოეთა წარმომადგენლების მონაწილეობით თათბირი მოხდება. დეპარტამენტმა წინადადება მისცა კავ. სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას, ორი კაცი გამგზავნოს ამ თათბირზე.

✦ **ოლონეცის გუბერნიაში გაგზავნა.** როგორც გავიგეთ, ამას წინად გორში დაპატიმრებული, ადგილობრივ სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი მღვდელი კარბელაშვილი უკვე გაუგზავნიათ ოლონეცის გუბერნიაში.

✦ **გენ.-გუბერნატორის ბრძანება.** ტფ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, სრულიად დაიკეტება ის ტრაქტირები და რესტორანები (რომელნიც მაგარ სასმელებით ვაჭრობენ), სადაც პატრონები საშუალო სასწავლებლის მოსწავლეთა და სალდათებს შესვლის ნებას მისცემენ.

✦ **ჟანდარმის დაჭრა.** 21 თებერვალს ბაქოში, ქუჩაზე, ვიღაც კაცმა დასჭრა რკინის გზის ჟანდარმთა უნტერ-აფიცერი სავიჩუკი. შემდეგ უცნობმა თავი მოიკლა.

✦ **სამრევლო სკოლები.** ტფ საეპარქიო სამრევლო სკოლების მეთვალყურემ სინოდის სამრევლო სკოლების საბჭოს წარუდგინა პროექტი იმ წესისა, რომლითაც უნდა საბჭოებმა იხელმძღვანელონ მასწავლებლების დანიშვნის დროს. პროექტით, დანიშვნა და სხვა ადგილზე გადაყვანა მასწავლებლისა საეპარქიო საბჭოს საქმე იქნება. კანდიდატები საბჭოს სკოლის მეთვალყურემ უნდა წარუდგინოს. საბჭოს განყოფილებანი მასწავლებლის დანიშვნისა და გადაყვანის შესახებ უნდა მოელაპარაკონ ხოლმე მეთვალყურეს. ეს პროექტი სინოდის საბჭომ უცვლელად დაამტკიცა.

✦ **რკინის გზის დათვალიერება.** გუშინ, 22 თებერვალს, ტფილისიდან ბაქომდის საგანგებო მატარებლით გზის დასათვალიერებლად წავიდა ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამხედრო უფროსი პოლკოვნიკი ნეიგებაუერი.

✦ **შეღავათი.** როგორც თავის დროზე გაზეთებში იყო მოთავსებული, 2 აგვისტოს, 1905 წელს გამოვიდა უმაღლესი ბრძანება, რომლითაც სახელმწიფო მამულების გამგეობებს ევალებოდათ შეღავათიანის პირობებით მიეცათ ადგილობრივ გლეხთათვის სახელმწიფო და საიჯარო ადგილები 1905 წლის განმავლობაში. ეხლახან, როგორც გავიგეთ, დამატებითი განკარგულება მოსულა, რომ 1906 წლის განმავლობაშიაც შეღავათი მიეცეთ იჯარით გლეხებს.

✦ მოგვივიდა: მესამე ხაზერი საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ (მცირე წლოვანთათვის). შინაარსი: „ცხენობანა“, ლექსი შ. მღვიმელისა; „მდიდარი და ღარიბი“, იგავი ად. შიოშვილისა; „ცისუხია“, ზღაპარი, თარგ. დ. ლეკახოზიშვილისა; „გამაკვალები“, თარგ. ს. მაჭავარიანისა; „მამა და შვილი“, თარგ. ანეტასი, „ბჭურჭლის ამბავი“, გერმანულიდან, „ხურხა სჯობიან ღონესა“, X-სა, „ძაღლის თავგადასავალი“, თეოფ. კახელიკისა; გასართობი.

✦ როგორც ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, ბორჩალოს მაზრის რვა სოფლის საზოგადოებას სოფლის მოხელეთა შესანახად 1904 წელს დაუხარჯავს 19,951 მანეთი, ხოლო 1905 წლის ექვსი თვის განმავლობაში—10,554 მანეთი. ამის შემდეგ სოფლელებს შეუწყვეტიათ ჯამაგირების ძლევა მოხელეთათვის და ექვსი თვის განმავლობაში არაფერი გადაუხდიათ მათ შესანახად.

✦ ტფილისის მაზრაში სოფელი სატისთელეთი ძალზე დაზარალებულა თურმე თათარ-სომეხთა შეტაკების დროს. ეხლახან აღნიშნულ სოფლის გლეხებს შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ სასოფლო სამეურნეო თანხიდან სესხი მიეცეთ. მთავრობას აღნიშნული თხოვნა დაუკმაყოფილებია და სესხი მიეცია.

✦ როგორც აღვნიშნეთ, მე-10 ნაწილის ბოქაული ზედგინიძე განჯის პოლიცმეისტრად დანიშნეს. ზედგინიძეს უარი განუცხადებია და ამიტომ ძველ ადგ თანამდებობაზე დატოვებიათ.

✦ 21 თებერვალს გაანთავისუფლეს ყარსის ციხიდან—რკინის გზის სლესარი დავით ტურავა და ქუთაისის მოხელე ხაიცევი.

✦ ბაქოს სადგურის უფროსი ბელევიჩი სამსახურიდან დაითხოვეს, რადგან მან უფროსის განკარგულება არ აასრულა.

✦ გორის მაზრის მცხოვრებმა ივანე მერიტაშვილმა პოლიციაში განაცხადა, რომ 20 თებერვალს, საღამოს 9 საათზე, ჩხუბი მომივიდა ბიძაშვილს აბრამ მერიტაშვილთან; პატარა ხანს შემდეგ თავს დამესხა რამდენიმე კაცი, ალბად ბიძაშვილის წაქეზებით, და მოკვლა დამიპირეს, მაგრამ სახლის სახურავს შევაფარე თავიო. წაიღეს 30 მან.

ქუთაისის ამბები

✦ ქუთაისის საპყრობილეში დატუსაღებული რამდენიმე პოლიტიკური დამნაშავე ადგილობრივ სამოქალაქო გუბერნატორის განკარგულებაში გადაუციათ.

✦ 16 თებერვალს, შორაპნის მაზრის სოფელს კვალითში, როგორც უკვე ვწერდით, ორს უცნობს, რომელნიც ბერდანებით ყოფილან შეიარაღებულნი, მოუკლავთ თავისსავე სახლში ადგილობრივი აზნაური პრაპორშჩიკი მილიციისა გოჯასპირ (იგივე ფილიპე) ლეჟავა. მკვლელები მიმალულან. მკვლელობის მიზეზად იმ გარემოებას ასახელებენ, რომ ლეჟავა ეხლანდელ განმათავისუფლებელ მოძრაობის წინააღმდეგი იყო და მთავრობას ხელს უწყობდა. როგორც ამბობენ, ამავე დღესვე მოუკლავთ სოფელს კვალითში დათიკო მაჭავარიანი.

✦ ქუთაისში სამხედრო წესების შემოღების შემდეგ ქალაქის აფთიაქის შემოსავალმა შესამჩნევად იკლო. ამის გამო ჰფიქრობენ ხარჯების შესამცირებლად რამდენიმე შტატს გარეშე მყოფი მოსამსახურე დაითხოვონ დროებით, სანამ აფთიაქის შემოსავალი ჩვეულებრივს კალაპოტში არ ჩადგება.

✦ გენერალ-გუბერნატორების სიმკაცრე ზოგიერთს ინსპექტორს ძლიერ მოსწონებია და განუზრახავს იმათთვის მიბაძვა. ასე მოქცეულა, მაგალითად, პირველ საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი ბ-ნი მიტარევსკი, რომელსაც თავის სასწავლებელში მოწაფეების გასასწორებლად ნამდვილი სამხედრო წესები შემოუღია. ამ წესების ძალით სასწავლებელში დაუხურავთ პარალელური კლასები, რადგან მოწაფეების ჩვეულებრივი რიცხვი, როგორც ყველგან, ცოტათი აქაც შემცირებულა, და ორ-ორი კლასის მოწაფეები თითო კლასში შეურეკია, რის გამო ზოგიერთს კლასში 40—50 მოწაფის ნაცვლად 70—80 მოწაფეს მოუყრია თავი. გარდა ამისა, ის მოწაფეები, რომელთაც სწავლის ფული სიღარიბის გამო თავის დროზე ვერ შეუტანიათ ყველა გარეთ გაუყრიათ და თან სრულიადაც დათხოვნასაც დაჰმუქრებიან. თუმცა პედაგოგიურ საბჭოს დაუდგენია, რომ პირველ მარტამდის არ დაითხოვათ სასწავლებლიდან მოწაფეები ფულის შეუტანლობისთვის და ეს დადგენილება მოწაფეებისთვისაც გამოუცხადებიათ, მაგრამ ბ-ნი ინსპექტორი წინააღმდეგი გამხდარა ამ დადგენილებისა და კიდეც უთქვამს საბჭოს წინაშე, ამავნახოთ, ვინ აჯობებსო, და მართლაც უჯობნია ბ-ნს ინსპექტორს: ნებართვა აუღია ოლქის მზრუნველისაგან, რომ დახუროს პარალელური კლასები და მასთან კლასებიდანაც გამოჰყაროს ის მოწაფენი, რომელთაც ფული არ შეუტანიათ. პარალელურ კლასების დახურვით მასწავლებლებიც უადგილოდ რჩებიან.

✦ 18 თებერვალს რკინის გზით დაიჭირეს ყაზახებმა ყვირილისაკენ მიმავალი ალფეზ შველიძე. ყმაწვილს, როგორც ყაზახები ამბობენ, გაქცევა განუზრახავს, მაგრამ დასწევიან და ბევრი უცემიათ.

✦ 20 თებერვალს საპყრობილიდან გამოუშვეს ამას წინად დატუსაღებული სტაროსელსკისთან საგანგებო საქმეთა მოხელედ ნამყოფი ნ. კ. ჩიგვაიძე.

✦ რადგან ქალაქის გამგეობაში ბევრის საქართო სამუშაოს მოიყარა თავი, რის გამო მოსამსახურენი იძულებულნი არიან სადღეღამოთაც იარონ სამუშაოდ, ქალაქის მოურავმა სთხოვა გუბერნატორს, მისცეს გამგეობის მოს მსახურეებს ბილეთები, რომლითაც შეეძლებათ სადამოს მუშაობის შემდეგ დაუბრკოლებლად შინ დაბრუნება.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 22 თებერვალი. 18 ოქტომბერს მოკლულის სტუდენტის ბიბილაურის საფლავზე ვიღაცამ ჯვარი აღმართა.

— მთელი პრესსა და საზოგადოება ენერგიულ პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ შმიდტს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს.

— კავკასიის ნამესტნიკთან არსდება 8 თანამდებობა საგანგებო მინდობილებათა მოხელეებისა.

— კონსტ-დემოკრატების პარტია მხნედ ემზადება არჩევნებისთვის მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა ყოველგვარ დაბრკოლებას უჩენს.

— გაპონი უარჰყოფს ყველა ბრალდებას და საზოგადოებრივ სამკაურის თხოულობს.

— ნოვოროსსიისკის ქალაქის მოურავი და რამდენიმე ადგილობრივი ინტელიგენტი, რომელნიც დაპატიმრებულნი არიან, სამხედრო სასამართლოში კჰნ. მიცემულნი; აბრალებენ შეიარაღებულ აჯანყების მომზადებასა და დროებით დაარსებას.

— მინისტრთა საბჭო კიდევაც შეუდგა სეფე სიტყვის შემუშავებას, რომლითაც სახელმწიფო სათათბირო უნდა გაიხსნას.

— ზიჩის გვამი დროებით დაასაფლავეს კათოლიკეთა ეკკლესიის აკლდამაში.

— ამას წინად დათხოვნილი ხარკოვის მღვდლები სამართალში მისცეს იმის გამო, რომ სიკვდილით დასჯა დაჰგმეს.

— იუსტიციის სამინისტროში რეპრესსიები დაიწყო. სამსახურიდან ითხოვენ ბევრ „გულკეთილ პროკურორებს.“

— პოლიციის დეპარტამენტს ცნობები მოდის, რომ დიდძალი პოლიციის ბოქაული სამსახურიდან მიდის. მარტო ტამბოვის გუბერნიაში 40 ბოქაულს უთხოვია, სამსახურიდან დაგვითხოვეთო.

— პეტერბურგის მუშათა ზოგიერთი რაიონები ბოიკოტს უცხადებენ სახელმწიფო სათათბიროს, ზოგიერთი კი აპირებენ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას.

რუსეთი

სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის ვადა და ბირჟა. როგორც გაზეთები გვაუწყებენ, სახელმწიფო სათათბიროს მოწვევის ვადის დანიშვნამ ისეთი გავლენა არ იქონია უცხოეთის ბირჟაზე, როგორსაც მოელოდნენ. პეტერბურგის ბირჟაზედაც კი ქაღალდების ფასმა დაიწია. სხვა და სხვა დროს არჩევნების მოხდენის ნებართვას სხვანაირად ხსნიან: მთავრობას აზრადა აქვს დააჩქაროს არჩევნები იქ, სადაც თავის სასურველ კანდიდატების გაყვანის იმედი აქვს, გადასდოს იქ, სადაც არა აქვს.

არჩევნების ვადა. მოსკოვსა და პეტერბურგში, როგორც ამბობენ, არჩევნები 26—30 მარტამდე დაინიშნება.

უკანასკნელი შლისელბურგელები. აწ გაუქმებულ შლისელბურგის ციხის პატიმართ: გერშუნის, საზონოვის, სიკორსკის, კარპოვიჩს და მელნიკოვს გაგზავნიან ნერჩინსკი ოლქში აკატუის მაღნებში სამუშაოდ. ჯერ-ჯერობით ესენი ბუტირკის ციხეში სხედან, მოსკოვში. იქვე ზის გენერალ სახაროვის მკვლელი ქალი.

მეცნიერის დაბრუნება. ცნობილი ისტორიკოსი კარეევი, რომელსაც აქამდის უფლება არა ჰქონდა პეტერბურგში პროფესორის კათედრის დაჭერისა პოლიტიკურ „არა კეთილსაიმედობის“ გამო, ეხლა ფაკულტეტის კრებას ხელახლად მოუწვევია ამ უნივერსიტეტში.

მინისტრის ზარალი. გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგის თავ. ობოლენსკისათვის აგრარულ მოძრაობას 253,000 მანეთის ზარალი მიუყენებია. რადგან თავადმა თავის დროზე მიითხოვა ჯარი მამულის ბკლების თავიდან ასაცილებლად, ხოლო მთავრობამ ვერ გაგზავნა, ეხლა მთავრობას პირობა მიუცია უზღოს ზარალი.

არჩევნების საქმე სოფლებში. ხერსონის გუბერნიის დაბა სტანისლავოვში, გლეხებს, უმაღლეს ბრძანების თანახმად, ხელახლად აურჩევიათ ვოლოსტის წარმომადგენლები. მამასახლისის და მღვდლის დაბეზღებით, სოფლებში მოსულა 50 ყაზახი და არტილერიის 70 ჯარისკაცი ორის ტყვიის მტყორცნელით, ამათ ბოქაულის ჩვენებით გაურიხავთ 18 გლეხი, ერთი გარიზხვილი ჰკუაზე შეშლილა, სხვები სიკვდილის პირზე არიან თურმე. ითითოსთვის 250 როზგი დაუკრავთ; ცემის დროს ბოქაული ეუბნებოდა გლეხებს: „აი, ესეც თქვენი განაჩენი, ესეც თქვენი დეპუტატები, ესეც სიტყვისა და კრების თავისუფლება!“.

პატიმართა მდგომარეობა. გაზ. „ნ. ძ.“-ის სიტყვით, ვიბორგის ციხეში პატიმართა შორის ძალიან გახშირდა ნერვების ავადმყოფობა. ციხის ექიმების სიტყვით, ავადმყოფობა ჩუმ შიმშილობის წაავაგს. ყველაზედ დიდ ტანჯვას უძილობა აყენებთ და მერე შიმშილობა, რომლითაც ისინი პროტესტს აცხადებენ ციხის რეჟიმის წინააღმდეგ.

„ვეჩ“-ის სიტყვით, ვლადიმირის გუბერნიაში პატიმართა შორის სახადი გავრცელებულა. არავითარ ზომებს არა ხმარობს ციხის ადმინისტრაცია ავადმყოფებთა და არა ავადმყოფთა განცალკევებისათვის. პირიქით ყოველ თხოვნაზე ადმინისტრაცია პატიმართ ერთ პასუხს აძლევს: „რაც უფრო ცოტანი იქნებით, ისა სჯობიაო“.

მოსკოვში საგუბერნიო საპყრობილეში, როდესაც პატიმარნი ერთმანერთს ელაპარაკებოდნენ, მცველებმა უცებ სროლა ასტეხეს, არავინ არ დაზიანებულა.

ამ გვარივე ამბავი მომხდარა 9 იანვარს ტაგანკის საპყრობილეში, სადაც ამ ამბავს

და ნეპომნიაშჩი, დახვრიტეს.

ამ მიმოხილვაში არ შევეხები პოლონეთის 1830 წლის აჯანყებას, რადგან იგი შორს წაგვიყვანს. საკმაოა მოვიხსენიო, რომ 1834 წლის უმაღლესს მანიფესტში დასახელებულია 249 კაცი, მათ შორის პოლონეთის გამოჩენილი ისტორიკოსი იოხი ლელეველი, რომელთაც ჩამოხრჩობა ჰქონდათ გადაწყვეტილი, და 9 კაცი, ამათ შორის თავ. ადამ ჩარტორიჟსკი—რომელნიც თავის მოკვეთით უნდა დასჯილიყვნენ. „რადგან ყველა ამათ დროზე უშველეს თავს და საზღვარ-გარედ გაასწრეს, მანიფესტმა სიკვდილის ნაცვლად მიუსაჯა სამუდამო განდევნა რუსეთიდან. პოლონეთში ნიკოლოზ პირველის დროს არა ერთხელ განიზრახეს აჯანყება, რისთვისაც სახრჩობელაზე ცნობილ კანარსკისთან ერთად სხვამაც ბევრმა დალია სული.

ეხლა შევეხები ეგრედ წოდებულ „პეტრაშევცების საქმეს.“ დაწვრილებით ვერც ამ საქმეს გავაცნობ მკითხველებს. დასახასიათებლად მოვიყვან მხოლოდ „რუსკი ინვალიდ“-ის მე-276 ნომერში მოთავსებულ მთავრობის ცნობას.

„მავნე მოძღვრებებმა,—აცხადებდა მთავრობა—რომელთაც დასავლეთ ევროპაში აჯანყებანი და არეულობანი გამოიწვიეს, და რომელნიც უქადიან წესიერებას და ხალხის კეთილ-დღეობას, სამწუხაროდ, ჩვენ სამშობლოშიც იჩინეს თავი. მაგრამ რუსეთში, სადაც წმინდა სარწმუნოება, ხელმწიფისადმი სიყვარული და ტახტის ერთგულება დამყარებულია რუსის ხალხის ბუნებრივ თვისებაზე, მხოლოდ ერთი მუჭა ხალხი, უმეტესად უზნეო ახალგაზრდობა, ოცნებობდა სარწმუნოების, კანონის და საკუთრების უწმინდეს უფლებების გაქელვას. ბოროტ-განზრახველთა მოქმედება ცუდ ნაყოფს გამოიღებდა, რომ მთავრობას სიფხიზლე არ გამოეჩინა და ბოროტება თავშივე არ ჩაექრო“.

რით გამოიხატა „ბოროტ-განზრახველთა“ მოქმედება? ამაზე პასუხს თვით განაჩენი გვაძლევს.

მიხეილ პეტრაშევსკი: „დახვრეტილ იქნას, რადგან განიზრახა აწ არსებულ სახელმწიფო წეს-წყობილების დამხობა; ამ აზრით მართავდა კრებებს, თავს უყრიდა ხალხს, უმეტესად ახალ-გაზრდობას, ავრცელებდა მავნე იდეებს, ცუდის სიტყვებით იხსენიებდა ხელმწიფე იმპერატორს, ჰკიცხავდა სახელმწიფო მოღვაწეებს და სცდილობდა ამავე აზრით საიდუმლო საზოგადოების დაარსებას“.

ნიკოლოოზ სპეშნევი: „დახვრეტილ იქნას, რადგან განიზრახა რუსეთის სახელმწიფოში პოლიტიკურ და სარწმუნოეობრივ ცვლილების მოხდენა; ამ აზრით სიტყვებს ამბობდა პეტრაშევსკის კრებებზე და სცდილობდა საიდუმლო საზოგადოების დაარსებას.“

ეს უმთავრესი „დამნაშავენი“. ამათ მოსდევენ გვარდიის პორუჩიკები მომბელი და გრიგორიევი, კაპიტანი ლვოვი, პეტერბ. უნივერსიტეტის სტუდენტი ფილიპოვი, შემდეგში გამოჩენილი მწერალი ფ. მ. დოსტოევსკი, ახშარუმოვი, დუროვი, ხანიკოვი, ძმანი დებუ, ტოლლი, ისტრჟემსკი, პლეშჩეევი (ცნობილი პოეტი), კაშკინი, გოლოვინსკი, პალმი, ტიმკოვსკი, ევროპეუსი, შაპოშნიკოვი—ყველას სიკვდილი დახვრეტით!

გოლოვინსკის, მაგალითად, სიკვდილი მიესაჯა პეტრაშევსკის და დუროვის კრებებზე მთავრობის წინააღმდეგ „მეტად საზიზღარ დაპარაკისთვის“.

ყველა ამათ დახვრეტის ნაცვლად კატორღა მიუსაჯეს, მაგრამ ეს გადაწყვეტილება მხოლოდ მაშინ გამოუცხადეს, როდესაც დასახვრეტად მოამზადეს და სუდარები ჩააცვეს. ვისაც დოსტოევსკის თხზულებანი წაუკითხავს, იმან კარგად იცის, რა ტანჯვის წუთები და ჯოჯოხეთი გამოსცადეს ამათ.

დადგა ახალი მეფობა, დაიწყო ვითამ და რეფორმების ხანა, მაგრამ სიკვდილით დასჯა პოლიტიკურ საქმეებისთვის უფრო გახშირდა და გამრავლდა. არ შევეხები პოლონეთის 1863 წლის აჯანყებას, რომელმაც აურიცხელი მსხვერპლი შეიწირა, და მოკლედ მოგითხრობთ იმას, რაც საკუთრივ რუსეთში მოხდა.

1861 წელს 17 ოქტომბერს, ესე იგი საგლეხო რეფორმის შემდეგ, იმავე წელს სოფელ ბეზდნაში შეიპყრეს და დახვრიტეს გლეხი ანტონ პეტროვი, რომელმაც გლეხების მიმართ წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, მიწა ხალხს უნდა ეკუთვნოდესო.

1862 წელს დახვრიტეს აფიცრები არნგოლდი და სლივიცკი და იუნკერი როსტკოვსკი. მიზეზი? მიზეზი „სალდათებს შორის საზიზღარ შინაარსის წიგნაკების გავრცელება“ იყო. ასეთის ვე „დანაშაულობისთვის“ სიკვდილის პირზე მიიყვანეს სალდათი შჩური და დახვრეტა გადაუწყვიტეს პოდპოლკ. კრასოვსკის. დახვრეტის ნაცვლად კრასოვსკი კატორღაში გაგზავნეს.

1863 წელს დახვრეტავე გადაუწყვიტეს აფიცერს უშაკოვს, რომელიც, როგორც ოფიციალურად იყო გამოცხადებული, „მავნე იდეებს ავრცელებდა ქარხნის მუშათა შორის, უკითხავდა და აძლევდა საზიზღარ შინაარსის წიგნაკებს. ამით უნდოდა მუშები მთავრობის წინააღმდეგ აემხედრებინა“.

ამ დროიდან დაიწყო პროპაგანდა მუშათა შორის. უკვე ორმოცი წელიწადია მას შემდეგ.

1864 წელს ყაზანში განიხილეს ეგრედ წოდებულ „ყაზანის შეთქმულების“ საქმე. ამ საქმის გამო 6 ივნისს ყაზანშივე დახვრიტეს შტაბს-კაპიტანი ივანიცკი, პორუჩიკი მროჩეკი, პოდპორუჩიკი სტანკევიჩი და აზნაური კენეკიჩი. ამავე საქმის გამო 1865 წელს შეიპყრეს და ვილნოში დახვრიტეს დამალული აფიცერი ჩერნიაკი.

1866 წელს 4 აპრილს დიმიტრი კარაკოზოვმა ესროლა იმპერატორს ალექსანდრე მეორეს. სამ სექტემბერს კარაკოზოვი ჩამოახრჩეს. დაიწყო „კარაკოზოვების“ საქმე. ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს იშუტინს, მაგრამ მერე კატორღად შეუცვალეს. ეს ამბავი იშუტინს შეატყობინეს მაშინ, როდესაც ხალათ გადაცმული სახრჩობელაზე აიყვანეს.

აქედან იწყება პაუზა ჩამოხრჩობა-დახვრეტის საქმეში. მე-70 წლებში სარევოლიუციო მოძრაობის ჩასაქრობად მთავრობა არავითარ სისასტიკეს არ ერიდებოდა. საკმაო იყო უბრალო რამ, რომ კაცი კატორღაში გაეგზავნათ ან ციხეში ამოელპოთ. კატორღაში ჰგზავნიდნენ, მაგალითად, იმას, ვინც გლეხს გადასცემდა ლასსალის წიგნაკს არა პირდაპირ გადასახადების შესახებ. არც სამართალი, არც გამოძიება მაშინ არ იყო. მიუხედავად ამისა, 1878 წლამდე სიკვდილით არავინ დაუსჯიათ. მხოლოდ ამ წელს, 2 აგვისტოს, ოდესაში დახვრიტეს ივანე კოვალსკი, რომელმაც ჟანდარმებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია.

სიკვდილით დასჯა საოცრად გახშირდა 1879 წლის 2 აპრილის შემდეგ, როდესაც სოლოვიოვმა ალექსანდრე მეორის მოკვლა განიზრახა. დაუყოვნებლივ დაინიშნა გენერალ-გუბერნატორები პეტერბურგს, ხარკოვსა და ოდესაში და გადაეცა უფლებანი კიევის, ვარშავისა და მოსკოვის გენერალ-გუბერნატორებისა.

დაიწყო სისხლით შეღებილი პროცესები სამხედრო სასამართლოებში. ყველას ჩამოხრჩობასა და დახვრეტას უწყვეტდნენ და გენერალ-გუბერნატორებიც დაუყოვნებლივ ამტკიცებდნენ ამ განაჩენს. გენერალ-გუბერნატორები გურკო, ჩერტკოვი და ტოტლებენი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ „დამნაშავეთა“ სისხლის ღვრაში.

ამავე 1879 წლის 20 აპრილს პეტერბურგში ჩამოახრჩეს ოფიცერი დუბროვინი. 14 აპრილს კიევში ჩამოახრჩეს ბრანდნერი, ანტონოვი, ოსინსკი. ამათი ამხანაგი სოფიო ლეშერნი ჩამოხრჩობის ნაცვლად კატორღაში გაგზავნეს.

„შეუძლებელია,—სწერდა ოსინსკი თავის მეგობრებს (ეს წერილი დაიბეჭდა „ლისტოკ ზემლი ი ვოლი“-ში),—ჩვენი საქმე დაიღუპოს. ეს რწმენა, რომ გვამხნევებს ამ სიკვდილის არად გვიდღებინებს“.

18 ივნისს კიევში ჩამოახრჩეს გორსკი, ბილჩანსკი და ფედოროვი.

„გაუმარჯოს რევოლიუციას!“-ო, დაიყვირა ბილჩანსკიმ სახრჩობელაზე და თავისი ქუდი მაღლა აისროლა.

(დასასრული იქნება)

დიდი არეულობა გამოუწვევია პატიმართა შორის. მისულმა ჯარმა დააშვიდა პატიმარნი; იარაღი არ უხმარიათ. ამბობენ ჯარის კაცმა თოფი ისე ესროლა პატიმარს რომ ჩვეულებრივ არც კი გაუფრთხილებია იგით.

ვიბორგის საპყრობილეში ერთ პოლიტიკურ პატიმარს, მიაკოტინს, ცნობილ პუბლიცისტის ძმას, თავის მოკვლა განუზრახავს. ამ პატიმარს დიდი ხანია ნერვების ავადმყოფობა ჰქონია. თავის მოსაკლავად კონსერვის კოლოფის თუნუქის ნატეხები ჩაუყლაპავს. ეხლა ავადმყოფი საშიშ მდგომარეობაშია თურმე.

უცხოეთის ბანკების უარი. პეტერბურგის ბირჟაში მიუღიათ ცნობები, რომ უცხოეთის ბანკებს გადაჭრით განუცხადებიათ უარი რუსეთის მთავრობისათვის სესხის გაძლევის შესახებ.

ხმები ვიტტეს სამსახურიდან გადადგომის შესახებ. მოსკოვში ამას წინად ხმა გავრცელებულა, რომ ვიტტე სამსახურს თავს ანებებს და მის მაგივრად პრემიერად ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორს გერარდსა ნიშნავენო.

შმიდტის სიტყვა. სასამართლოში შმიდტს, სხვათა შორის, შემდეგი სიტყვა უთქვამს: „რუსეთის პოლიტიკურ პროგრამებში მე ყველაზე მეტად მიზიდავდა ის, რომელიც ორიოდე სიტყვით გამოითქმის: „მეფე და ხალხი, სახელმწიფო სათათბირო დამფუძნებელ კრების ფუნქციით ან დამფუძნებელი კრება.“ აი ჩემის სიცოცხლის აზრი. ამ პოლიტიკურ იდეალისათვის სამჯერაც რომ მომიხდეს სახრჩობელაზე სიკვდილი, მზადა ვარ ღიმილით დავლიო სული. მსაჯულნო“! — დაათავა შმიდტმა თავისი სიტყვა:—„მე მხოლოდ ერთად-ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან: თუ ამ საქმეში დანაშაული არის ვინმე, დამნაშავე მხოლოდ მე ვარ, თუ სიკვდილით უნდა დაისაჯოს ვინმე, დამსაჯეთ მხოლოდ მე. ხელს ნუ ახლებთ ამ უბედურ ხალხს, რომელნიც ჩემის სურვილის თანახმად მოქმედებდნენ. აასრულეთ თქვენი მოვალეობა ისე, როგორც იგი გესმით; მე მხოლოდ ერთში ვარ დარწმუნებული: ვიცი, რომ თქვენ გამამტყუნებთ, დიაღ, ვიცი, მაგრამ ისტორია გაამართლებს ლეიტენანტ შმიდტსა! მე მზადა ვარ“.

ღია წერილი

მკითხველ საზოგადოების და სოფლის ინტელიგენციის მიმართ.

კიდევ მივმართავთ უმარჩიელესის თხოვნით მკითხველ საზოგადოებას, მოგვაწოდოს წაკითხული გაზეთები და ჟურნალ-ჟურნალური დეკადური გამოცემანი, ხოლო სოფლის ინტელიგენციას — გამოგვიგზავნოს თავისი ადრესები, ვისაც შეუძლიან, თავს იდვას გაზეთების გავრცელება გლეხთა შორის და წაკითხვა.

ადრესები, სადაც შეიძლება გაზეთების და წიგნების გზავნა: 1. „წერა-კითხვის საზოგადოება“, სასახლის ქუჩა; № . არწრუნის ქუჩა, № 55 (ვერაზედ), ფალავანდიშვილისას; 3. (ვერაზედ) ჭერა-კერვის სკოლა, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა; 4. ავლაბარი, სრეტენის შესახვევი, სახლი მამრაძისა; 5. მამადავითი, მეჟვეურის ქუჩა, სახლი № 11 ბინა სოლოღაშვილისა; 6. მუხრანის ქუჩა, სახლი რომანიშვილისა № 11, ბინა ხუმსიაშვილისა; 7. კახეთის ქუჩა, სახლი № 6; ბინა გედევანიშვილისა; 8. ვერა სანთლის ქარხანა, ბინა რცხილაძისა.

ადრესების გამოგზავნა შეიძლება შემდეგის ადრესით: ნიკოლოზის ქუჩა, სახლი № 6 ბინა № 13, ვახვახიშვილისას.

ამ საქმის მომწყობი წრე

დეპეშა

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

21 თებერვალი

პეტერბურგი. „ვრემია“-ს ცნობით, ის პროექტი, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრმა შეადგინა და, რომელიც სახელმწიფო საბჭოს და მინისტრთა საბჭოს მიერ განხილვის შემდეგ, ცარსკოე სელოში გაიგზავნა დასამტკიცებლად, უკანვე დაუბრუნდა შემდგენელს არქივში შესანახად, ვინაიდან იგი ცხოვრებისათვის გამოუსადეგარად იქმნა ცნობილი.

სახელმწიფო საბჭოს შემდეგ მახლობელ სხდომაზე განიხილავენ ფინანსთა სამინისტროს პროექტს სავლეხო ბანკის ახალ ხუთ პროცენტიან გირავნობის ფურცლის გამოშვების შესახებ.

როგორც გაზეთები ამბობენ, ამ ჟამად სამინისტროებში ამუშავებენ, ფინანსთა მინისტრის თაოსნობით, ტახტის სიტყვის პროგრამას. ამ სიტყვით მთავრობამ უნდა მიმართოს წარმომადგენლებს სახელმწიფო სათათბიროს გახსნის დღეს. ეს პროგრამა 8 მუხლს შეიცავს. რადგანაც სათათბიროს მოწვევის დღე ძლიერ ახლოა, ამიტომ ფინანსთა სამინისტრო ძლიერ ჩქარობს დასრულოს პროექტი სასრულო რეფორმებისა და ამიტომ შუა მარხვაში, განზრახულია, დასრულოს პროექტები შემოსავლის გადასახადზე, ადგილ-მამულისა და ქალაქის უძრავ ქონებებზე გადასახადის შემოღებისა.

„სლოვო“ იუწყება, გრაფ იგნატიევის თავმჯდომარეობით განხილულ იქნება რამდენიმე განსაკუთრებული კანონ-პროექტი, შემუშავებული ფრიშისა და დერიუჟინსკის მიერ, შესახებ საზოგადოებრივ წესიერების დაცვისა, უშიშროებისა და სიწყნარისა ნორმალურსა და განსაკუთრებულ პირობებში, ბინის ხელუხლებლობისა; აქვე იქნება შემუშავებული ადმინისტრატიულ დაწესებულებათა უფლებები დამნაშავეების დასჯის საქმეში, იარაღის ტარებისა და ხელზე მოსამსახურეების შესახები წესები, წესები ქუჩებში მოძრაობისა, პასპორტის მოსპობა, სადრესო ფურცლებისა და სიების შემოღება, მაწანწალების შესახებ დებულების გამოცემა და პოლიციის ყურის გდება პროსტიტუციისათვის. ეს რჩევა მხოლოდ ამზადებს ამ პროექტებს რათა წარუდგინოს ისინი სახელმწიფო სათათბიროს.

ლოძი. განზრახულია აქაურ ციხეებში დაპატიმრებულებში ზოგს შეუმცირონ ვადა, ზოგიც მთლად განათავისუფლონ.

შანხაი. აჯანყებას მთელიან ფუჩიენში უცხოელების წინააღმდეგ. დიდ ბრიტანეთის გენერალურმა კონსულმა ტელეგრაფით აცნობა საქმის ვითარება მეფის თანაშემწეს და დახმარება სთხოვა.

პეკინი. იუანშიკაიმ ბრძანება გასცა გაძლიერებული რაზმები დააყენონ არტილერიით პეკინის ჩრდილოეთისა და სამხრეთის კარებთან.

ტოკიო. ჩინეთის დედოფალმა უბრძანა სამხედრო მინისტრს, ენერგიული ზომები მიიღოს მისიონერების დასაცველად. იაპონიის დიპლომატიურმა აგენტებმა მოსთხოვეს თავიანთ მთავრობას, გამოუგზავნონ მათ დამცველები ჩინეთში. გადაწყვეტილია ჩინეთის წყლებში გაეგზავნონ კრეისერი „ტაკაჩიხო“.

სევასტოპოლი. ადმირალი ჩუხნინი სრულიად განიკურნა.

მილანი. ფლორენციის ერთ-ერთ ვილაში მეჯლისის დროს ცეცხლი გაჩნდა. ბევრი კაცი დაიღუპა.

ბუენოს-აირესი ურაგვაიში რევოლუციამ იფეთქა.

ხარკოვი. სევასტოპოლის გზაზე საქონლის ორი მატარებელი დაეჯახა ერთი-მეორეს. დაიმტვრა 12 ვაგონი. მოკვდა 4 და მძიმედ დაიჭრა 2 მგზავრი.

ვარშავა. გოლმანის სადურგლო სახელოსნოში შევიდა 5 აგიტატორი და მუშაობის შეწყვეტა მოითხოვა, მაგრამ მუშები გამოუდგნენ და გაფანტეს. გუშინ საათის 4-ზე უცნობმა პირმა პოვოზკით მამავალ სალდათებს პროკლამაციები შესთავაზა; სალდათებს უნდოდათ დაეჭირათ აგიტატორი, მაგრამ უკანასკნელმა ორჯელ გაისროლა რევოლვერი, გაიქცა და მიიმალა გენნენბერგის ფაბრიკაში, სადაც იგი იპოვნეს სალდათებმა გოროდოვოების დახმარებით და დაიჭირეს.

ოდესა. დოზზეს მაღაზიაში ალექსანდროვსკი პროსპექტზე ბომბა გავარდეს, როგორც ფიქრობენ მაღაზიის პატრონის ჯავრის ამოსაყრელად, რომელსაც უარი ეთქვა ანარქისტებისთვის ფულის მიცემაზე. აფეთქებისაგან მძიმეთ იქნა დაჭრილი მაღაზიის პატრონი და მისი ცოლის ძმა და მსახური 3 ნოქარი. ბომბის გადამგდებმა რევოლვერით დასჭრა მისი მდევარი გოროდოვოი. დამნაშავე დაიჭირეს და აღმოჩნდა ისაკ ტერნერი, 19 წლისა.

სამარა. უცნობთ 19 თებერვალს სადგურ მოიპარეს სადგურ სამარიდან 156 ვინტოვკა და 750 პატრონი, რომელნიც რკინის გზის ბატალიონის კუთვნილებას შეადგენდნენ.

პეტერბურგი. კონ.-დემოკრატების კრებები ხელ-ახლა აკრძალა გრადონაჩალნიკმა მიზეზების აუხსნელად.

ვარშავა. მარშალკოვსკის ქუჩაზე მძიმედ დასჭრეს სკოლების ინსპექტორი იბლოვი. ერთი დამჭრელთაგანი სალდათებმა შეიპყრეს. იგი აღმოჩნდა მუშა ფაბრიკა „ვულკან“-ისა.

ბერლინი. რეიხსტაგში შეკითხვა შეიტანეს შესახებ იმისა, რომ, რუსეთის გზებზე ვაგონების უქონლობის გამო, გერმანიის აუარებელი საქონელი ჯერ კიდევ გზებში და დამოუნებში დევს. შეკითხველებს უპასუხეს, რომ ამის შესახებ პეტერბურგში კიდევ შეეკითხება კანცლერი და იმედი აქვს, რომ შეთანხმება მოხდება ზარალის ნაწილის ანაზღაურებით.

მოსკოვი. ბაზარში ახალგაზრდა კაცმა მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვა წარმოსთქვა და ხალხს აჯანყებისაკენ უწოდებდა. ბრბომ ცემა დაუწყო ორატორს; პოლიციამ ხელიდან გამოართვა ბრბოს ორატორი და დაატუსაღა.

ვარშავა. 20 კაცმა ქალურად ჩაცვეს ვლადისლავ რედკეს და ისე გაასარეს პარიზის საავადმყოფოდან წინათვე დამზადებულ კარეტაში.

ვილნო. ზავალნი ქუჩაზე 10 შეიარაღებულმა კაცმა 500 მან. გაიტაცა კოლოფის ფაბრიკის კანტორიდან და გაიქცა.

პეტერბურგი. 21 თებერვალს მომრიგებელ მოსამართლეთა კრებამ ჩვენება ჩამოართვა ვიტტეს მისს ბინაზე „ნაშა ჟიზნ“-ის რედაქტორების შესახებ. ვიტტეს ჩვენებას გამოაქვეყნებენ.

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

20 თებერვალი

ოდესა. ბულგარეთის ქუჩაზე ანარქისტები შეიჭრნენ ლერნერის ფურნეში და წაართვეს ფურნის პატრონს 150 მ. მძარცველთ მდევრები გამოუდგათ, მაგრამ გაქცეულთაგანში ერთის ქალს ბომბა გაუსქდა, რომლითაც სასიკვდილოთ დასჭრა ახლო მიმავალი დურგალი მიტი. გუშინ ტუკუმსკი მაზრაში დრაგუნები გამოუდგნენ მეამბოხეთ და გზა-გზა იმ სარდაფის დასათვალიერებლად შევიდნენ, სადაც მეამბოხენი მიმალულიყვნენ. უკანასკნელებმა სროლა აუტეხს დრაგუნებს, მოჰკლეს ერთი ამათგანი და გაიქცნენ. დრაგუნებმა მოჰკლეს 5 გაქცეულთაგანი.

ალჟესირასი. დღევანდელ სხდომაზე რუსეთის დელეგატებმა წარადგინეს პროექტი პოლიციის მოწყობის შესახებ.

ბუდაპეშტი. მეფის კომისარმა განკარგულება მოახდინა 48 საათის განმავლობაში სახელმწიფო სათათბიროში შეტანილ იქნას ყველა ნება უოფლოპით გადახდილი გადასახადები. მაგისტრატმა გადასწყვიტა შეიტანოს 1,200,000 კრონი და კვლავ დაემორჩილოს კომისარის განკარგულებებს. ბანფიმ კოშუტს მიმართა წერილით, რომელშიაც იგი უხსნის, რა მიზეზით გამოვიდა კოალიციიდან. უკანასკნელმა არ დაუჭირა მხარი საყოველთაო ხმის მიცემას. ეს კი უმთავრესი მუხლია ბანფის პროგრამაში. კოშუტის აზრით კოალიციის მიზანია დუალიზმის მოსპობა და ავსტრიის მიერ პირად უნიის დაარსება. ბანფის ეჭვი აქვს, რომ შესაძლებელი იყოს განხორციელება პირადი უნიისა მშვიდობიანის გზით და შიშობს, ვაი თუ პირადმა უნიამ დასცეს მონარქიის პრესტიჟიო.

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭომ 28 თებერვალს დაამტკიცა საზღვაო მინისტრის აზრი, რომლითაც 1903 წ. 2 ივნისისა და 1904 წ. 19 ივნისის წესები უნდა გავრცელებულ იქნან საზღვაო უწყებაში მომუშავეებზე. ეს წესები შეეხება უბედურ შემთხვევებში დაზარალებულთა დაჯილდოებას.

პეტერბურგი. 21 თებერვალი. ოფიციალური. სახელმწიფო საბჭოში შეტანილ იქნება შემდეგი ცვლილებანი: მას შეადგენს უმაღლესად დანიშნული და ამორჩეული წევრები, რომელთა რიცხვი თანასწორი იქნება. ამორჩეულ წევრებად იქნებიან წარმომადგენელნი მართლმადიდებელთა სამღვდელოებისა, საგუბერნიო სერობო კრებებისა, თავად აზნაურთა საზოგადოებებისა, მეცნიერებათა აკადემიისა და უნივერსიტეტებისა, ვაჭრობისა და მანუფაქტურის საბჭოსა—მოსკოვის განყოფილებიანა, ვაჭრობისა და მანუფაქტურის ადგილობრივ კომიტეტებისა, ბირჟის კომიტეტებისა და ვაჭართა სამმართველოებისაგან. საბჭოს თავმჯდომარესა და მისს თანაშემწეს ხელმწიფე ნიშნავს. მართლმადიდებელთა სამღვდელოების წევრებს ირჩევს უწ. სინოდი, 3 შავისა და 3 თეთრის სამღვდელოებისაგან. თვითეული საგუბერნიო საერობო კრება თვითო წევრს ირჩევს საბჭოში. საგუბერნიო და საოლქო სათავად-აზნაურო საზოგადოებანი ირჩევენ ორ-ორ დეპუტატის ამომრჩეველს (ВЫБОРЩИКЪ). თვითეული ესენი შეიკრიბებიან პეტერბურგში და აირჩევენ 12 წევრს საბჭოსას. მეცნიერებათა აკადემია და უნივერსიტეტი ირჩევენ სამ-სამს დეპუტატთა ამომრჩეველს თვითო, აკადემია ორდინარულ აკადემიკოსებისა და უნივერსიტეტები ორდინარულ პროფესორებისაგან. ესენი შეიკრიბებიან პეტერბურგში და 6 წევრს აირჩევენ სახელ. საბჭოსთვის. ვაჭრობისა და მანუფაქტურის საბჭო ირჩევს 4 დეპუტატის ამომრჩეველს, ორს ვაჭრობისა და ორს მრეწველობისაგან, საბჭოს მოსკოვის განყოფილება, ივანოვო-ვოზნესენსკისა, კოსტრომისა და ლოძის კომიტეტები ირჩევენ ორს დეპუტატის ამომრჩეველს მრეწველობიდან, დანარჩენი კომიტეტები თვითო დეპუტატის ამომრჩეველს თვითეულ მრეწველობიდან, პეტერბურგისა და მოსკოვის საერთო ბირჟების კომიტეტები — ოთხ-ოთხ დეპუტატის ამომრჩეველს, ორს მრეწველობისა და ორს ვაჭრობისაგან, ვარშავისა, ოდესისა, ნიჟეგოროდისა, რიგისა, დონის როსტოვისა, ხარკოვის საერთო ბირჟისა, სამარისა, სარატოვისა, ლოძისა, ლიბავისა, ბაქოსა, ეკატერინბურგისა, პერმისა, ტომსკისა და ომსკისა—ორ-ორ დეპუტატის ამომრჩეველს, ერთს მრეწველობისა და ერთს ვაჭრობისაგან, ხარკოვის ქვანახშირის ბირჟის კომიტეტი—ერთს მრეწველობისაგან, დანარჩენი საბირჟო კომიტეტები და ვაჭართა გამგეობანი თვითო-თვითო დეპუტატის ამომრჩეველს ვაჭრობისაგან. ამნაირად ამორჩეულ პირთა კრებაზე პეტერბურგში ირჩევენ 12 წევრს სახელმწიფო საბჭოსას, 6 მრეწველობისა და 6 ვაჭრობისაგან. საბჭოს წევრებს 9 წლით ირჩევენ. თვითეულ სამს წელს იმათი მესამედი ნაწილი რიგ-რიგობით გამოდის და მათ მაგიერ ახლებს ირჩევენ იმავე წესებით, საბჭოს წევრად არ შეიძლება არჩეულ იქნას ისეთი პირი, რომელიც 40 წელზე ნაკლებისაა, თუ საშუალო სასწავლებელი მაინც არ გაუთავებია, უცხოელები და ისეთები, რომელნიც სახელ. სათათბიროს დებულების მე-7-ე და მე 8-ე მუხ. ძალით მოკლებულნი არიან საარჩევნო უფლებას. საბჭოში არჩეულ წევრებს 25 მან. უნდა მიეცეს დღე-და-ღამეში, გზაში თითო შაური ვერსზე. არჩეული წევრები ფიცს მიიღებენ წესისამებრ. რათა საბჭოს სხდომა კანონიერი იქნას, ამისათვის საჭიროა ყველა წევრების ერთი მესამედი ნაწილის დასწრება. საბჭოს სხდომები შეიძლება საჯარო იყოს, თუ თავმჯდომარე ნებას დართავს. სხდომების ანგარიშს ნაფიცი სტენოგრაფები ადგენენ და აქვეყნებენ გაზეთებში.

სახელმწიფო საბჭოს ნება აქვს განიხილოს ყველა ის კანონ-პროექტი, რომელთაც სახელმწიფო სათათბირო განიხილავს და აგრეთვე უფლება კანონ-პროექტის წარმოდგენისა. საქმე ხმის უბრალო უმეტესობით წყდება, სახ. საბჭო გამოიკვლევს წესიერად მოხდა თუ არა მისი წევრების არჩევნები. თუ არჩევნები არ იქნა მოწონებული, მაშინ ახალ არჩევნების დანიშვნას ხმა უნდა მისცეს ორმა მესამედმა ნაწილმა დამსწრეებისამ.

სათათბიროს მიერ მოწონებული კანონები სახელმწიფო საბჭოს წარედგინება. ის კანონ-პროექტები, რომელნიც სახელ. საბჭოს წევრთაგან გამომდინარეობს, განხილულ იქნება ჯერ საბჭოში და მერმე სახელ. სათათბიროს წარედგინება. თუ რომელიმე კანონ-პროექტი არ მიიღო საბჭომა და სათათბირომ, იგი უკუგდებულად ითვლება. თუ საჭირო იქნა ხელახლა განხილვა საბჭოდან სათათბიროში ან სათათბიროდან საბჭოში გადატანილ, იმ შემთხვევაში კანონ-პროექტი ან დაუბრუნდება იმ დაწესებულებას, რომელმაც პირველად მოიწონა იგი, ანა და გადაეცემა საერთო კომისიას, რომელსაც სათათბიროსა და საბჭოს წევრები შეადგენენ. უმაღლესად დამტკიცებულ კანონ-პროექტების შეტანა საკანონმდებლოდ განხილვისათვის არ შეიძლება იმავე სესიაში. ის კანონ-პროექტი, რომელიც არ იქნება მოწონებული ერთ-ერთი საკანონმდებლო დაწესებულების მიერ, შეიძლება ხელმეორედ იქნას შეტანილი იმავე სესიის განმავლობაში, მხოლოდ უმაღლესის ბრძანებით. აკრძალულია როგორც საბჭოში, ისე სათათბიროში რომელისამე დეპუტაციის მისვლა და რაიმე თხოვნის წარდგენა. საბჭოს იმ დეპარტამენტს, რომელიც შესდგება უმაღლესად დანიშნულ საბჭოს წევრებისაგან, წარედგინება ის საქმეები, რომელნიც აღნიშნულია მეცხრე მუხლის ლიტერებ R-სა და ხ-ში და საბჭოს დაწესების მე-31-ე მუხ. 14, 15, 16 და 17 პარაგრაფებში და აგრეთვე მინისტრთა კომიტეტის უმაღლესად აღნიშნული საქმეები. საგუბერნიო საერობო კრებებისაგან საბჭოს წევრობის ნება აქვთ იმ პირთ, რომელთაც ერთი-სამად მეტი სადგილ-მამულო ცენზი აქვს იმაზე, რომელიც საჭიროა ჩვეულებრივ ერობის წევრობისთვის, რომელთაც უმსახურნიათ არა ნაკლებ ორის საარჩევნო ვადისა გუბერნიისა ან მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლისა საგუბერნიო ან სამაზრო ერობების თავმჯდომარისა, ქალაქის მოურავისა და სამპატიო მომრიგებელ მოსამართლის ადგილებზე პეტერბურგისა, მოსკოვისა და ხერსონის გუბერნიებში შეიძლება აგრეთვე აირჩიონ ისეთი პირები, რომელთაც პეტერბურგსა, მოსკოვსა ან ოდესაში აქვთ უძრავი ქონება, დაფასებული არა უმეტეს 45,000 მან. და არა ნაკლებ 15,000 მან., თუ ამ პირებს უმსახურნიათ ზემოხსენებულ თანამდებობაზე აღნიშნული ვადა. საბჭოს წევრებს ირჩევენ იმ მემამულეების კრებებზე, რომელთაც დაწესებული საერობო ცენზი აქვთ გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლთა თავმჯდომარეობით. პოლონეთში საგუბერნიო კრებები, გამართული უმაღლესად დანიშნულ პირების თავმჯდომარეობით, ირჩევენ, თვითეული 6—ნ დეპუტატის ამომრჩეველს, ესენი იკრიბებიან ვარშავაში და ირჩევენ 6 წევრს სახელმ. საბჭოსთვის.

საბჭოს წევრების არჩევას უნდა შეუდგნენ ეხლავე.—სახელმწიფო სათათბიროში, ზემო აღნიშნულ ცვლილებებს გარდა, შემდეგი იქნება შეტანილი. სათათბიროს შეუძლია დააარსოს განყოფილებები და კომისიები. სათათბირო ირჩევს თავმჯდომარესა და ორს მისს ამხანაგს, სეკრეტარსა და მისს ამხანაგს. კანონიერ შედგენილებათ აღიარებულია ყველა წევრთა ერთი მესამედი ნაწილი. სათათბიროს წევრის დაჭერა სესიის დროს შეიძლება მხოლოდ სათათბიროს წინასწარი ნებართვით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მას დანაშაულის ჩადენის დროს და მეორე დღეს იჭერენ ანა და თუ დანაშაულს ჩადენს სათათბიროს წევრის თანამდებობის ასრულების გამო, ან ამ თანამდებობის ასრულების დროს; ამასთანა დანაშაულებისთვის მას ისე გაასამართლებენ, როგორც სახელმწიფოს უმაღლეს მოხელეს. სათათბიროს წევრობა შეუძლიანთ მინისტრებსა, და ცალკე უწყების მთავარ გამგებელთ. სათათბიროს შეუძლია შეეკითხოს მინისტრებს შეთის ამა თუ იმ მოქმედების გამო. კანონპროექტს სათათბიროს მისი კომისიები ადგენს. მინისტრებსა და მთავარ გამგებელთ ნება აქვთ სათათბიროში დასწრებისა, მაგრამ ხმას მხოლოდ იმ შემთხვევაში აძლევენ, როცა სათათბიროს წევრები არიან. სათათბიროს დადგენილებად ითვლება საზოგადო კრებაზე ხმის უმეტესობით მიღებული აზრი. სათათბიროს მიერ მიღებული კანონ-პროექტი წარედგინება სახელმწიფო საბჭოს. სათათბიროს თავმჯდომარეს ნება აქვს შეუშვას სათათბიროს საზოგადო კრებაზე ხალხი და პრესის წარმომადგენელნი. თუ სათათბიროს დადგენილებით რაიმე საქმე გამორკვეულად იქმნა ცნობილი, იმ შემთხვევაში მათზე კამათი ისპობა. თუ რომელიმე წევრი უარს იტყვის სათათბიროში შესვლის წინ საჯაროდ ფიცის მიცემაზედ, იგი ამით უარს ამბობს თავის წოდებაზე. სათათბიროს დაწესებულების პირველი მუხლი შემდეგი სიტყვითაა გამოთქმული: „სახელმწიფო სათათბირო არსდება იმ საკანონმდებლო მოსაზრებებზე საუჯა-ბაასოდ, რომელნიც უნდა წარედგინოს უზენაესს თვითმპყრობელ უფლებას (ВЛАСТЬ) ძირითად კანონების ძალით და თანახმად ამ დაწესებულებისა და სახელმწიფო საბჭოსთვის შემოღებულ წესრიგისა“.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ბ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის

გამგეობა

აცხადებს, რომ 28 თებერვალს, 12 საათისათვის, დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც გაიცემა ნავთის საქმე. ქალაქისთვის საჭიროა 15 ქვაბი ნავთი, რომელიც ავჭალის სადგურზე უნდა იქნას მოტანილი.

ვისაც ვაჭრობა სურს, პირობები შეუძლიან გაისინჯოს გამგეობის წყლის მილის განყოფილებაში ყოველდღე, კვირა-უქმეებს გარდა, 12-დან 2 საათამდე. (2—6.—2)

აბრეშუმის თესლი

ბაღდადის ჯიშისა, დიდის ხოვლით მომზადებული, შემდეგ ფირმებისა: 1. „ხ. ხრისტოდულიადისა“, 2. „ლ. ეკონომიდისა“ და 3. „ა. მარდირისა“, რომელთაგან ორმა პირველმა დიდი ხანია სახელი გაითქვა როგორც ოსმალეთში, ისე კავკასიასა, თურქესტანსა და სპარსეთში.

მსურველმა უნდა მიმართოს ამ ფირმების წარმომადგენელთ ვ. აკოფიანცს ქართველ თავად-აზნაურთა ქარვასლაში (კანტორა № 2), ტელეფონი № 608. (3—67—3)

ხეხილის ნერგები

საუკეთესო ხარისხსა, საზღვარ-გარეთისა და ადგილობრივი, ისყიდება ზომიერ ფასებში

ფ. ავსარქისოვის

მამულში. კატალოგი ეგზავნება მსურველთ უფასოდ. ადრესი: კავკასიის რკინის გზის სადგური სკრა ფ. ავსარქისოვს. (10—4)

ქართველ ქალთა სახელოსნო სკოლაში მიიღებენ **კაბებს** შესაკერად იაფად და რიგიანად. იქვე მიიღებენ ყოველგვარ საკერავს და „მეტკებს“.

Открыта подписка

На большую ежедневную, съ полной программой общественно-литературную и политическую газету

„БАКУ“

(ЧЕТВЕРТЫЙ ГОДЪ ИЗДАНІЯ).

Газета имѣетъ собственныхъ корреспондентовъ въ крупныхъ городахъ Кавказскаго края, а также въ Петербургѣ, Москвѣ и за границей.

Подписная цѣна: для городскихъ подписчиковъ на годъ 7 руб., на 6 мѣс. 4 руб., на 3 мѣс. 2 р. 50 к., на 1 мѣс. 1 р.; для иногороднихъ подписчиковъ: на годъ 8 р. 50 к., на 6 мѣс. 5 р., на 3 мѣс. 3 руб., на 1 мѣс. 1 р. 50 к.

Для годовыхъ подписчиковъ допускается разсрочка: Для городскихъ при подпискѣ 3 руб., къ 1 апрѣля 2 р., къ 1 іюня 2 р. Для иногороднихъ: при подпискѣ 3 р. 50 к., къ 1 апрѣля 3 р., къ 1 іюля 2 р.

Редакторъ В. А. Арутчевъ (3—უ.—2)

ახლად დაბეჭდილი

სამზარეულო

ფასი 1 მან. 50 კაპ.

იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (წლ.)

სესხი გლეხებს

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგლეხო ბანკის დახმარებით გლეხებს შეუძლიათ ადგილ-მამულის შეძენა. ვკისრულობ ყველა საქმეს, რომელიც დასჭირდება სესხის გამოტანას, ადგილ-მამულის შეძენას სოფლის საზოგადოებისათვის, გლეხთა ამხანაგობისათვის, ცალკე სოფლებისათვის; ვაფასებ ტყეებს, ვადგენ გეგმებს, მამულების აღწერას,—ყველაფერს, რაც საჭიროა მამულის ყიდვა-გაყიდვისათვის და დაგირავებისათვის.

იმ თავად-აზნაურთ, რომელთაც ჰსურთ მამულების გაყიდვა და აგრეთვე იმ გლეხთა საზოგადოებათ და სოფლებს, რომელთაც ჰსურთ მამულების ყიდვა ჩემის შუამავლობით, ვთხოვ მომმართონ მე **ტფილისში**, ფრეილინის ქუჩა, სახლი № 3, ტელეფონი № 567, **ა. გ. ხნეეკოვს.** (30—4)